

ტეტონო შუბლაძე

გერმანიის  
საგარეო  
აღმოსავლეთის  
მდირობის  
სამსახური

შეწამებად  
ღიად

მინარკებია

(ფილოლოგიური ძიებანი)

1182.851  
3



სისინო მუმლაძე

# „შეწამება და დიად მიხარკებია“

(ფილოლოგიური ძიებანი)



საგამომცემლო ცენტრი  
ქუთაისი  
2008

UDC (უაკ) 27-247+27-277  
8-917

ქალმაცუნ ბუხუძან ამქსაძის ნათულ ხსოვნას  
უძებუნნი ამ წიგნს.

წიგნში სხვა საკითხებთან ერთად გაანალიზებულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის რამდენიმე ხელნაწერი. გარკვეული ფილოლოგიური კვლევის საფუძველზე ავტორი ახდენს მათ დათარიღებას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხელნაწერი ოთხთავი №76, რომელიც გადანერილია 1060 წელს შავ მთაზე, კალიპოს მონასტერში, უშუალოდ გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფიდან.

წიგნი გათვალისწინებულია ფილოლოგებისა და საქართველოს ძველი კულტურის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი

მისეილ ნიკოლაიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

რეცენზენტი

ოზარ გვამბაძე

პროფესორი

ISBN 978-9941-0-0409-4

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## მათჲს სახარების ერთი ფურცლის გამო

ახალი აღთქმის ტექსტების შესწავლას ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ბიბლიური წიგნების შემსწავლელი ქართველი მეცნიერები, მით უფრო თუ ეს ტექსტები ასომთავრულითაა შესრულებული, რაც უმრავლეს შემთხვევაში მათ სიძველესთან ასოცირდება.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია N21 ხელნაწერი წიგნი იოანე ოქროპირის – „თარგმანებად იოვანეს სახარებისაჲ“. გადაწერილი 1053 წელს, ეტრატი, ნუსხური, შემოსულია გელათის მონასტრიდან. ამჟერად, ჩვენი კვლევის ობიექტია არა ეს ხელნაწერი, არამედ მისი უკანა ყდის შიგა ხის ნაწილზე მიკრული ასომთავრული ტექსტი – ეტრატის ფურცელი, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს დასახელებულ ხელნაწერ წიგნთან, რატომღაც იგი ყდის ხის ნაწილის დასაფარავად გამოუყენებიათ. ეტრატის ფურცელი კარგად რომ მორგებოდა ყდას, მისი ზედა ნაწილი გადაუჭრიათ.

ცნობილია, რომ გელათური ხელნაწერი წიგნები დიდი ქართველი მეცნიერის კაკეელიძის მიერ არის გადანომრილი. როგორც აღვნიშნეთ, ასომთავრული ტექსტი N21 ხელნაწერი წიგნის – „თარგმანებად იო-

ვანეს სახარებისაღს“ ყდაზე იყო მიკრული. კამკელიძეს ლურჯი ფანქრით ასომთავრულ ტექსტზეც N21 მიუწერია. როგორც ჩანს, დიდ მეცნიერს ასომთავრულით შესრულებული ტექსტი მხედველობიდან არ გამოჩენია და მისთვის, რაღაც მოსაზრებით, იოვანეს სახარების ნომერი მიუცია, დროთა განმავლობაში ეს ხელნაწერი ან მეცნიერის ინტერესს მ ღმა დარჩა, ანდა სრულიად გადაავიწყდა მას.

ჩვენი კვლევის საგანი, ასომთავრული ტექსტი, წარმოადგენს ფრაგმენტს მათეს სახარების მეცამეტე თავიდან.

ხელნაწერის ახლანდელი ზომაა 20X20 სმ; ტექსტის – 14X14 სმ; ტექსტი დაწერილია ორივე გვერდზე ორ სვეტად. თითო სტრიქონის ზომაა 6 სმ, სვეტებს შორის მანძილი 2–2,3 სმ; თითოეულ სვეტში ამჟამად 13 სტრიქონია. თუ გავითვალისწინებთ, რომ გადაჭრილ ნაწილში სავარაუდოდ ტექსტის 11–12 სიტყვა<sup>1</sup> უნდა ყოფილიყო განთავსებული, ხოლო თითოეული სტრიქონი 2,5–3 სიტყვას შეიცავდა /სიტყვათა უმეტესობა ქარაგმებითაა წარმოდგენილი/, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველ სვეტში 17 სტრიქონი იქნებოდა, რაც შეეხება ტექსტის ზომას /თითო სტრიქონის სიმაღლე 1,1 სმ, ოთხი სტრიქონის – 4,4 სმ იქნება/, იგი დაახლოებით 18X14 სმ უნდა ყოფილიყო. ეტრატის ქვედა კიდე 5 სმ-ია. ზედა კიდე 4 სმ მაინც იქნებოდა,

<sup>1</sup> სიტყვათა რაოდენობა ტექსტის სხვა შესაბამის ნუსხებთან შეჯერებით დავადგინეთ

მაშინ ეტრატის თავდაპირველი ზომა 27X20 სმ (18+4+5 სმ=27 სმ) უნდა ვივარაუდოთ. თვით ეტრატი მოყვითალო ფერისაა და სისქით 0,3 მმ-ია. მელანი მუქი ყავისფერია. ტექსტი r-ზე ადვილად იკითხება, რაც შეეხება V-ს, რაკი ეტრატი ამ ნაწილით ყდაზე იყო მიწებებული, მისი შუა ადგილის ამოკითხვა გაძნელებულია. თუმცა აღდგენა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან ტექსტის ეს მონაკვეთი ხის ყდაზე გადასული. აშკარაა გადამწერის წერის მანერა – ასოთა ზემო ვერტიკალური დაწევა კალამ-გაპობილად; ზოგან მთავრული ასოები ნამოგრძელებულია და მომღვეწო სტრიქონის ასოებს ეხება; ყურადღებას იქცევს ასო დ-ის შესრულების მანერაც. მისი მუცელი ელიფსური ფორმისაა და მარცხნივაა გადახრილი. სახედაო ასოები კ და მ მხატვრულადაა გაფორმებული და სივრდით კ სამი, ხოლო მ ორი სტრიქონის სიმაღლეს უტოლდება. რადგან ეტრატი ზედა ნაწილში გადაჭრილია, პაგინაციის აღმნიშვნელი ნიშანი არა გვაქვს. ეტრატზე შეიმჩნევა სტრიქონებისათვის წვეტიანი საგნით გავლებული პარალელური ხაზები, რომლებიც ქვედა აწიაზე ერთმანეთთან ძალიან დაახლოებულია, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი განსაზღვრული იყო ამონიოსისეული საძიებლისათვის, თუმცა ჩვენს შემთხვევაში ხაზები თავისუფალია.

ეტრატს პალიმფსესტად ვერ მივიჩნევთ, რადგან მასზე ადრინდელი ტექსტის გადარეცხვის არავითარი კვალი არ შეიმჩნევა.

ტექსტში არ არის რაიმე სახის წასწორება, არა გვაქვს გადახაზული ადგილები; დასაწერი სივრცე R და V ბოლომდეა შევსებული. ამდენად, ის მოსაზრება, რომ რაიმე ნაკლის გამო, ეტრატო უვარგისად მიიჩნიეს, გამოსარიცხია. პირიქით, ასომთავრული ტექსტი შესრულებულია აკურატული და ლამაზი ხელით, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეტრატო ოთხთავის ან ცალკე გაფორმებული მათეს სახარების ძველი, დაშლილი, დაზიანებული ხელნაწერის ფურცელია, რომელიც შემთხვევის წყალობითა და პრაგმატული მოსაზრებით ქუთაისის N21 ხელნაწერ წიგნში აღმოჩნდა.

ტექსტის სიმცირე გარკვეულ დაბრკოლებას ქმნის მისი ენობრივი თავისებურებების კვლევისათვის. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მასში ორთოგრაფიული ან ფონეტიკური თავისებურებები კლასიკური ძველი ქართულის ნორმებთან მიმართებაში არ შეიმჩნევა.

ყურადღებას იქცევს ეტრატის R-ზე ტექსტის ბოლოს ქვედა აშიაზე, განსხვავებული მედნიით, მხედრულით შესრულებული ხელრთვა – ისაკა მღვდელი. ხელრთვა ძირითად ტექსტთან შედარებით, მოგვიანო პერიოდისა უნდა იყოს და ჩვენი მოსაზრებით იგი გელათის მონასტერში XIX-ის 20-60-იან წლებში მოღვაწე მღვდელ-მონაზონს ისაკს ეკუთვნის. ქუთაისის მუზეუმში დაცულ ისტორიულ დოკუმენტში – „ნახსახურებითის სია გაენათის მონასტრის ძმებთა და მორჩილთათვის“ ისაკის შესახებ ვკითხულობთ, რომ ის იყო „გელათის მონასტრის მღვდელ-მონაზონი, გაუ-

ნათის მონასტერსა შინა უსწავლია საღმრთო წერილი, წერა და გალობა. იმერელი სასულიერო წოდებისაგანი. მონაზვნად აღკვეცილ არს და იერო დიაკვნად ხელდასხმულ არს გაენათელ მიტროპოლიტის ეფთვიმის მიერ ჩყიე სექტემბრის – ივ (1815 წ. 15 სექტემბერი), ხოლო მღვდელმონაზვნად ხელდასმულ არს მისივე მიტროპოლიტის ეფთვიმის მიერ ჩყით – იანვრის 3 (1819 წ. 6 იანვარი)<sup>1</sup>. იგივეა ნათქვამი მომდევნო წლების მსგავს დოკუმენტებში<sup>2</sup>. XIX ს-ის 70-იანი წლებიდან მისი სახელი „გაენათის მონასტრის ნამსახურობითს სიაში“ აღარ მოიხსენიება.

ბ-ნი თენგიზ აღდამიძე თავის გამოკვლევაში – „ხახულის ხატის ისტორიისათვის“ წერს: „მღვდელ-მონაზონი ისაკი თავის დროისათვის საკმაოდ ცნობილი ლიტერატორი იყო. მას 1853 წელს პლ. იოსელიანის შეკვეთით დაუწერია ლექების მიერ 1851 წელს დავით გარეჯის მონასტრის აოხრებისა და იქ მყოფ მსახურთა ამოხოცვის ამბავი“<sup>3</sup>. ეს ცნობა ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო იქედან გამომდინარე, რომ გვეფიქრა ჩვენი საკვლევი ტექსტიც მისი ხელით ხომ არ იყო შესრულებული. მაგრამ გარკვეული მოსაზრების გამო ეს აზრი უგულვებელყავით: გელათში მისი მოღვაწეობის პერიოდში დაცული ხელნაწერი ოთხთავეების, ან ცალკე შესრულებული მათეს სახარების არცერთი ნუსხა (ისინი ამჟამად ქუთაისის მუზეუმში

1 ქიმ 6861/6

2 ქიმ 6861/20; 37; 41

3 თ.აღდამიძე – „ხახულის ხატის ისტორიისათვის“, თვლავი – 1999 წელი





ინახება) არ იმეორებს ჩვენს ხელნაწერს. ისინი ძირითადად ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელის რედაქციებიდან მომდინარეობს. ჩვენი ხელნაწერი კი, როგორც ტექსტით ასევე ასოთა მოხაზულობით, უშუალო მსგავსებას ავლენს ადიშურ და ჯრუჭ-პარხალის რედაქციებთან.

ამდენად, ალბათობა იმისა, რომ ეტრატზე წარმოდგენილი ხელთვა – ისაკა მღვდელი, ხელნაწერის გადამწერს ეკუთვნის, ნაკლებ სავარაუდოა, ხოლო იმის გარკვევა, თუ რატომ დატოვა თავისი ავტოგრაფი მღვდელ-მონაწონმა ისაკმა ეტრატზე, ამჯერად ჩვენი კვლევის მიზნის მიღმა რჩება.

რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო ტექსტის მსგავსებას ზემოთაღნიშნულ რედაქციებთან, ამის დამტკიცება არ გაგვიჭირდება, თუ მათ ერთმანეთს შევადარებთ. პარალელური შედარებისათვის აკ. შანიძის მიერ 1945 წელს გამოცემული – „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია“ გამოვიყენეთ. დასახელებულ ნაშრომში განხილულია ადიშის 897 წელს გადაწერილი ოთხთავი და მეორე რედაქციად ჯრუჭისა და პარხალის (შესაბამისად 936-973 წ.წ.) ოთხთავები. სამივე ხელნაწერი შატბერდის განთქმული მონასტრიდანაა. ცნობილია, რომ ეს მონასტერი გრ. ხანძთელმა დააარსა კლარჯეთში მე-9 ს-ის დასაწყისში. მე-9 და მე-10 საუკუნეებში, აქედან ვრცელდებოდა ორიგინალური თუ ნათარგმნი ქართული წიგნები. იმ პერიოდის რამდენიმე ხელნაწერია ჩვენ დრომდე მოღწეული და სამი მათგანი სწორედ ზემოთ დასახელებული ოთხთავია.

გარდა აღნიშნულისა, ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი შევუდარეთ ივ. იმნაიშვილის მიერ გამოცემულ ნაშრომში „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია“<sup>1</sup>, წარმოდგენილ ნუსხებს, წიგნში, ერთის მხრივ, შედარებულია ურბნისისა და პალესტინური, მეორეს მხრივ, ვანის, ემიაძინისა და გელათის ოთხთავები.

შედარების შედეგად გაირკვა, რომ ქუთაისის ხელნაწერი ყველაზე ახლოსაა და თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ჯრუჭის ოთხთავის შესაბამის მონაკვეთს.

აკ. შანიძე აღნიშნავს, რომ ჯრუჭ-პარხალის რედაქცია ეს არის ტექსტი, რომელიც საფუძვლად დასდებია მომდევნო რედაქციებს: ჯერ ექვთიმე, შემდეგ კი გიორგი მთაწმინდელისას; რაც შეეხება გიორგი მთაწმინდელის რედაქციას, მან მომდევნო საუკუნეებში საბოლოოდ განდევნა ყველა დანარჩენი რედაქცია და თვითონ იქცა ქართულ ვულგატად. ამდენად, ჯრუჭ-პარხალის ტექსტი – ეს არის, ასე ვთქვათ, ქართული პროტოვულგატი ე.ი. ტექსტი, რომელიც მცირე ცვლილებებით საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილა მე-10 საუკუნეში<sup>2</sup>. სწორედ ამ ტექსტის შესაბამის მონაკვეთს იმეორებს ჩვენი ხელნაწერი. თუ არ ნავთვლით უმნიშვნელო ცვლილებებს, შეიძლება ითქვას, რომ იგი აღნიშნული რედაქციის ასლს წარმოადგენს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საკვლევე ტექსტში გვხვდება ლექსიკური ერთეულები, რომლებიც არ არის

1 ივანე იმნაიშვილი – „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია“, თბ. 1979 წ.

2 აკ. შანიძე – „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია“ თბ. 1945 წ. გვ. 8;

ჯრუჭ-პარხალის რედაქციაში და წარმოდგენილია ადიშის ოთხთავში, თვით ტექსტი უმნიშვნელო ცვლილებებით, სიტყვა-სიტყვით მიჰყვება ადიშის ოთხთავის შესაბამის მონაკვეთს. აღნიშნულის ნათელსაყოფად ერთმანეთის პარალელურად მოვიყვანო ქუთაისის მუზეუმის ტექსტსა და ადიშისა და ჯრუჭ-პარხალის რედაქციების შესაბამის ფრაგმენტებს. K ლიტერით აღვნიშნავთ ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერს, C ლიტერით ადიშის, ხოლო D ლიტერით ჯრუჭ-პარხალის რედაქციას:

K

r – I სვეტი<sup>1</sup>

სისა ყოველნი საც

თურნი: და მოქ

მედნი უშჯულოები

სანი: და შესთ (მ 13,41)

ხინეს იგინი სა

კუმილსა მას

ცეცხლისასა მუნ

იყოს ტირილი და

ღრჭუნაჲ კბილათჲ: (მ 13, 42)

მაშინ მართალნი გა

მობრწყინდენ

ვითარცა მ'სმ სასუფვეველსა

D

სისა ყოველნი საც

თურნი და მოქ

მედნი უშჯულოები

სანი და შესთ

ხინეს იგინი **შორის** სა

კუმილსა მას

ცეცხლისასა მუნ

იყოს ტირილი და

ღრჭუნაჲ კბილათჲ

მაშინ მართალნი გა

მობრწყინდენ

ვითარცა მ'სმ სასუფვეველსა

<sup>1</sup> ქარაგმები გახსნილია, ტექსტის სტრუქტურა შენარჩუნებულია

ვათასა: რომელსა ახ (მ 13,43)

ვათასა, რომელსა ახ  
ხენ ეურნი სმენად, ისმინენ!  
კუაღად მსგავს არს  
სასუფვეელი ვათასა სუფვეს  
დაფარულსა ეა

r -II

ნასა შინა რომელი ჰო

ნასა შინა რომელი ჰო

ეა კაცმან და  
დამალა **იგი**  
და სიხარულითა  
მით მისთვის  
წარვიდა და გან  
ვიდა ყოველი რამ  
ცა **ედვა:** და  
მოივიდა ავა  
რაკი იგი: (მ 13,44)  
**კუაღად** მსგავს არს  
სასუფვეელი ვათასა  
კაცსა ვაჭარ (მ. 13,45)

ეა კაცმან და  
დამალა  
და სიხარულითა  
მის მისთვის  
წარვიდა და გან  
ვიდა ყოველივე რამ  
ცა **აქუნდა** და  
მოივიდა ავა  
რაკი იგი  
**მერმე** მსგავს არს  
სასუფვეელი ვათასა  
კაცსა ვაჭარ

K

V-I სვეტი  
სამ წარვიდის  
და განვიდის ყოველი  
რამცა აქუნდა  
და მოივიდა  
იგი (მ 13,46)  
მერმე მსგავს

D

სამ წარვიდა  
და განვიდა ყოველივე  
რამცა აქუნდა  
და მოივიდა  
იგი  
მერმე მსგავს

არს სასუფეველი ცათაჲ

სათრომელსა  
 ბადესა რომელი სდ  
 ვიან ზღუასა  
 რომელმან ყოველთაგან თვეს  
 თა შეკრიბის და (მ 13,47)  
 ოდეს აღივსის

V -II სვეტი  
 ლი იგი გარე განს  
 თხიან ესრეთ  
 იყოს აღსასრულ  
**სა** ამის სოფლისა  
**სა** რამეთუ გამოვი  
 დენ ანგელოზნი და  
 განაშორენ უ  
 კეთურნი იგი  
 მართალთა მათ (მ. 13,49)  
 გან და შთასთ  
 ხინეს იგინი შორის  
 საჭუმიდსა  
 მას ცეცხლისასა (მ 13,50)

არს სასუფეველი ცათაჲ

სათრომელსა  
 ბადესა რომელი სდ  
 ვიან ზღუასა  
 რომელმან ყოველთაგან თვეს  
 თა შეკრიბის და  
 ოდეს აღივსის  
 გამოიდიან იგი კიდესა  
 და დაასხიან და განარჩიან  
 და შეკრიბიან კეთილი იგი  
 ჭურჭელსა ხოლო ჯურჯუა<sup>1</sup>

ლა იგი გარე განს  
 თხიან ესრეთ  
 იყოს აღსასრული ამის  
 სოფლის**სა**  
 რამეთუ გამოვი-  
 დენ ანგელოზნი და  
 განაშორენ უ  
 კეთურნი იგი **შორის**  
 მართალთა მათ  
 გან და შთასთ  
 ხინენ იგინი შორის  
 საჭუმიდსა  
 მას ცეცხლისასა

<sup>1</sup> მათეს სახარების ეს მონაკვეთი ქუთაისის ხელნაწერში გადაკრილია

## K

r -I სვეტი

სისა ყოველნი ხაც

თურნი: და მოქ

მედნი უშჯულოები

სანი: (მ 13,41) და შესთ

ხინეს იგინი სა

ჭუმილსა მას

ცეცხლისასა მუნ

იყოს ტირილი და

ღრჭენამ კბილათ: (მ 13,42)

მაშინ მართალნი გა

მობრწყინდენ

ვითარცა მსმ სასუფეველსა

ცათასა: რომელსა ას (მ 13,43)

r -II სვეტი

ნასა შინა რომელი პო

ვა კაცმან და

დამალა იგი

და სიხარულითა

მით მისთუ-ს

## C

სისა ყოველნი ხაც

თურნი: და მოქ

მედნი უშჯულოები

სანი და შესთ

იხნენ იგინი

ჭუმილსა მას

ცეცხლისა აგზებულისასა მუნ

იყოს ტირილი და

ღრჭენამ კბილათამ

მაშინ მართალნი გა

მობრწყინდენ

ვითარცა მსმ სასუფეველსა

ცათასა, რომელსა ასხენ

ყურნი სმენად, იხმინენ!

კუაღად მსგავს არს სასუ-

ფეველი ცათამ საუნჯესა

დაფარულსა ყა<sup>2</sup> -

1 ქარაგმები გახსნილია, ტექსტის სტრუქტურა შენარჩუნებულია

2 მათუხ სახარების ეს მონაკვეთი ქუთაისის ხელნაწერში გადატერილია

წარვიდა და გან  
ვიდა ყოველი რამ  
ცა **ედვა**: და  
მოიყიდა ავა  
რაკი იგი: (მ 13,44)  
**კულად** მსგავს არს  
სასუფეველი ცათამ  
კაცსა ვაჭარ (მ. 13,45)

V - I სვეტი

K

სამ წარვიდის  
და განვიდის ყოველი  
რამცა **აქუნდა**  
და მოიყიდა  
იგი (მ 13,46)  
მერმე მსგავს  
არს სასუფეველი ცათამ

სათრომელსა

**ბოდესა** რომელი სდ  
ვიან ზღუასა  
**რომელმან** ყოველთაგან **თევზ**

წარვიდა და გან  
ვიდა ყოველი, რამ-  
ცა **აქუნდა** და  
მოიყიდა ავა  
რაკი იგი  
**მერმე** მსგავს არს  
სასუფეველი ცათამ  
კაცსა ვაჭარ

C

სა რომელი ეხებენ კითხობა  
მარგალიტთა.

და ჰიის რამ ერთი მრავალ  
სახყიდლი-

სა **მარგალიტი**, წარვიდა  
და განვიდა ყოველი,  
რამცა **ედვა**  
და მოიყიდა  
იგი  
მერმე **კულად** მსგავს  
არს სასუფეველი ცათამ

სათრომელსა,

რომელ სდ  
ვიან ზღუასა და  
**ყოველისაგან** თესლად-თეს-  
ლადისა

თა შეკრიბის და (მ 13,47)  
**ოდეს** აღივსის

V -II

ლი იგი გარე **განს**  
**თხიან ესრეთ**  
 იყოს აღსასრულ  
 სა ამის სოფლისა  
 სა **რამეთუ გამოვი**  
**დენ** ანგელოზნი და  
**განაშორნენ** უ

კეთურნი **იგი**  
 მართაღთა **მათ** (მ. 13,49)  
 გან და შთასთ  
**ხინეს** იგინი **შორის**  
 საჯუმილსა  
 მას ცეცხლისასა (მ 13,50)

შეკრიბიან  
**რაჟამს უკუე** აღივსის

ლი იგი გარე **განა**  
**ბნიან ვგრე**  
 იყოს აღსასრულ  
 სა ამის სოფლისა  
 სა: განვიდენ  
 ანგელოზნი და  
**განარჩინენ** უ

კეთურნი  
 მართაღთა  
 გან და შთასთ  
**ხინენ** იგინი  
 საჯუმილსა  
 მას ცეცხლისასა

ტექსტების ურთიერთ პარალელურმა შეჯერებამ ნათელყო, რომ ქუთაისის მუზეუმის ასომთავრული ტექსტი გარდა მცირე ვარიანტული სხვაობისა, სიტყვა-სიტყვით მიჰყვება ადიშისა და ჯრუჭ-პარხალის რედაქციებს. უფრო მეტიც, მასში გვხვდება ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ადიშის ოთხთავშია და არ არის ჯრუჭ-პარხალის რედაქციის შესაბამის მონაკვეთში და პირიქით, ჯრუჭ-პარხალის რედაქციაშია და არ არის ადიშის ოთხთავში. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს:



| K               | C                 | D              |
|-----------------|-------------------|----------------|
| ყოველი          | ყოველი            | ყოველივე       |
| <b>აქუნდა</b>   | ეღვა <sup>1</sup> | <b>აქუნდა</b>  |
| <b>ოდეს</b>     | რაეამს            | <b>ოდეს</b>    |
| იყოს აღსასრულსა | იყოს აღსასრულსა   | იყოს აღსასრული |
| ამის სოფლისასა  | ამის სოფლისასა    | ამის სოფლისა   |

ამდენად, სავარაუდოა, რომ ჩვენი ხელნაწერის გადამწერს ხელთ ჰქონდა, როგორც ადიშის, ისე ჯრუჭ-პარხალის ოთხთავეები, ან ის უნდა განეიხილოთ მათ შორის მდგომ სრულიად სხვა ნუსხად, რომელიც იცნობდა ადიშის ოთხთავეს და რომლითაც შემდგომში ჯრუჭ-პარხალის ოთხთავეების გადამწერებმა იხელმძღვანელეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის მუზეუმის ასომთავრული ტექსტის დაწერის თარიღად მე-10-ს-ის დასაწყისი უნდა მივიჩნიოთ. რაც შეეხება გადამწერის ადგილს, ტექსტის გრაფიკათა მოხაზულობის და თვით ნუსხების ლექსიკურ ერთეულთა იდენტურობის აპრიორული ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ხელნაწერი შატბერდული სკოლიდან უნდა მომდინარეობდეს. თუმცა, ამის საბოლოო დადგენა ჩვენი შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს.

1 ზმნის ფორმა - ეღვა ქუთაისის მუზეუმის ასომთავრულ ტექსტშიც გვხვდება - აქუნდას პარალელურად და მისი მნიშვნელობით: „განეიდა ყოველი რაიცა ეღვა“ (მ. 13,44)

### გელათური ხელნაწერები

K 259. 429<sub>3</sub>

თავისი არსებობის მანძილზე გელათის მონასტერში თავი მოიყარა ქართული კულტურის, ლიტერატურისა და ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველმა უმნიშვნელოვანესმა ძეგლებმა. ისინი ჯერ კიდევ ქუთაისის მუზეუმში შემოსვლამდე – 1923 წლამდე, იწვევდა ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა განსაკუთრებულ ინტერესს. ამის ნათელი დადასტურებაა ღვაწლმოსილ მკვლევართა: მ.ბროსეს, დ.ბაქრაძის, ნ.კონდაკოვის, თ.ჟორდანიას, გ.წერეთლის, პ.უვაროვას, ე.თაყაიშვილის, მ.ჯანაშილის, ნ.მარის, ს.ჭიჭინაძის, ა.ხახანაშვილის, ივ.ჯავახიშვილის, ს.კაკაბაძის, კ.კეკელიძის, პინგოროვას, ვუკ. ბერიძის, ს.მაკალათიას და სხვათა ნაშრომები და ფუნდამენტური გამოკვლევები. გელათური მასალებიდან ქართული ეროვნული კულტურის ფასდაუდებელ განძს წარმოადგენს ძველი ხელნაწერი წიგნები, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო X-XIX საუკუნეებს მოიცავს. აღსანიშნავია, რომ გელათურ ხელნაწერებში დაცულია ქართული ანბანის /დამწერლობის/ განვითარების სამივე საფეხურის შესატყვისი მასალა: ასომთავრულით, ნუსხა-ხუცურითა და მხედრულით გადაწერილი სასულიერო, თუ საერო დანიშნულების ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულებები.

სენი წერილი მიზნად არ ისახავს გელათური ხელ-

2.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  
 პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს  
 ე რ ო ვ ნ უ ლ ი  
 ბ ი ბ ლ ი ო ტ ო ე კ ა

ნაწერი წიგნების შესახებ მკითხველისათვის სკურპულოზური ცნობების მიწოდებას. ეს შეუძლებელიცაა, რადგან მათი მეცნიერული ღირებულება იმდენად დიდია, რომ თითოეულ მათგანზე ათობით მონოგრაფია შეიძლება დაიწეროს – ამ ეტაპზე მხოლოდ გელათური ხელნაწერებით ქართველ მკვლევართა დაინტერესებაზე, ბოლო წლებში მათზე შექმნილი მეცნიერული ნაშრომების თემატიკაზე გავამახვილებთ ყურადღებას. ამასთან, რაკი დღემდე გელათურ ხელნაწერ წიგნებზე ცალკე კატალოგი არ არის გამოცემული და რადგან ისინი შესულია ევნიკოლადის მიერ შედგენილ – „ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი წიგნების კატალოგში“ (I-II ტომი გამოც. 1953-1964 წ.წ.) ამიტომ თავს უფლებას მივცემთ გელათური ხელნაწერები მცირე აღწერილობებით ამოვკრიბოთ ევნიკოლადის კატალოგიდან და დავერთოთ ჩვენს წერილს. ამით დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ უშუალოდ ჩვენს წერილში ერთობლივად გაეცნონ გელათური ხელნაწერი წიგნების თემატიკას.

ქუთაისის მუზეუმში გელათური ხელნაწერების შემოსვლა დაკავშირებულია ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მუზეუმის პირველი დირექტორის, შესანიშნავი მეცნიერისა და პუბლიცისტის ტრიფონ ჯაფარიძის სახელთან.

ტრიფონ ჯაფარიძე, როგორც სიძველეთა და ხელოვნების ძველთა დაცვის რწმუნებული, დიდ ინტერესს იხენდა კულტურისა და ისტორიული ძეგლების აღრიც-

ხვისა და დაცვის საქმისადმი. გარკვეულწილად მისი დამსახურებაა, რომ დღეს დასავლეთ საქართველოში შემოგვრჩა იმ პერიოდის განუკითხავ ანტირელიგიურ ნგრევას გადარჩენილი ბევრი შესანიშნავი საკულტო დანიშნულების ძეგლი.

1923 წლისათვის საქართველოში მასიურად დაიწყო ეკლესიების დაკეტვა. საშიშროება შეექმნა მათში დაცულ ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშებსა და უნიკალურ ხელნაწერ წიგნებს. ტრიფონ ჯაფარიძემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სამოქმედო ზონის ეკლესიებში არსებული ეროვნული სიმდიდრე გადაერჩინა.

1923 წელს მისი უშუალო მონაწილეობით გელათის მონასტერში დაცული ხელნაწერი წიგნები ქუთაისის მუზეუმში დაბინავდა და დღემდე, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, აქვეა დაცული.

მუზეუმში გადმოტანით გელათური ხელნაწერები სამეცნიერო კვლევისათვის უფრო მისაწვდომი გახდა და მკვლევართა ფართო წარმომადგენლობამ – ო. სოსელიას, რ. ყენიას, ა. შანიძის, ილ. აბულაძის, ე. მეტრეველის, ს. ცაიშვილის, ს. ყუბანეიშვილის, მ. შანიძის, შ. გოზალიშვილის, ი. დოღლაშვილის, ა. ბარამიძის, ლ. მენაბდის, დ. ბრეგაძის, ნ. გოგუაძის, ევნიკოლაძის და სხვათა სახით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გელათური ხელნაწერების შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ქართველ მკვლევართა ინტერესი გელათური მასალებისადმი დიდია დღესაც. უკანასკნელი ათი წლის



მანძილზე გელათურ ხელნაწერზე იმუშავეს და საინტერესო ნაშრომები და სტატიები გამოაქვეყნეს, ემაჭავარიანმა, ხ.სარჯველაძემ, ხ.სხირტლაძემ, მ.მანხანელმა, ც.აბულაძემ, ნ.მელიქიშვილმა, ზ.რაფაევამ, თ.ოთხმეზურმა, ს.სარჯველაძემ, თ.ალდამიძემ, მ.აბუთიძემ, ე.გიუნაშვილმა, ი.ჭიჭინაძემ, ნ.ქაქთარიაძემ, მ.ნიკოლეიშვილმა და სხვებმა. მრავალფეროვანი იყო მათ მიერ შესწავლილ საკითხთა თემატიკაც, შესწავლილ საკითხთაგან აღსანიშნავია „გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები“, „გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარები“, „ძველი ქართული პოშილეტიკა“, „გელათის სამონასტრო სკოლის ენობრივი სტილის საკითხები“, „ანასტასი სინელის „წინამძღვრის“ ტექსტის დადგენა“, „არსენ იყალთოელის დოგმატიკონი“, „ოთხთავის კრიტიკული ტექსტის დადგენა“ და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერი წიგნები, რომლებიც დღეს გელათურ ხელნაწერებად მოიხსენიება ყველა როდი შექმნილა ან თარგმნილა თვით გელათში: N19; 20; 21 იოანე ოქროპირის თარგმანებად მათეს და იოვანეს სახარებისად – ეგზეგეტიკური თხზულებები, მანგლისსა და აწყურში იქნა გადაწერილი, შემდეგ კაცხის მონასტრისათვის შეწირული, მაგრამ უკვე ვითარების გამო გელათის მონასწერში მოხვედრილან და დღეს გელათურ ხელნაწერებადაა შესული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ამდენად, გელათის მონასტერში არამარტო ითარგმნებოდა უცხოური



ან იწერებოდა ორიგინალური ქართული თხზულებები, არამედ თავისი არსებობის მანძილზე ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო, რაც მას თითქმის მიუვაღს ხდიდა ომიანობის დროს, იგი ითვლებოდა ზოგადად ქართული კულტურისა და ხელოვნების ნიმუშების თავშესაფრად და საღაროდ. ამიტომ არის, რომ გელათური მასალების – ხელნაწერი წიგნების, ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშების, ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ძეგლების წარმომავლობის გეოგრაფიული არეალი ძალზე ფართოა და იგი თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს.

გელათური ხელნაწერების თემატიკა მეტად მრავალფეროვანია, ამაზე მეტყველებს ამ ხელნაწერთა ჩამონათვალი მცირე აღწერილობებით, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ევნიკოლადის მიერ შედგენილ ქუთაისის მუხეუმის ხელნაწერთა აღწერილობიდან ამოკერიბეთ:

1. (ქიმ N1) მეტაფრასი – (XVI ს.) 582ფ. 'სომა 41,5X27; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; ხათაურები სინგურით; ძველი პაგინაციით 44 რვეულია; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, თითო სვეტში 32-33 სტრიქონია, დამკვეთი – კათოლიკოსი ეფთვიმე (582r.).

2. (ქიმ N2) მეტაფრასი – (XIV ს.) 401ფ. 'სომა 28X26; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; ხათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; გადაწერის

ადგილი მოქვი (270r.); ძველი პაგინაციით 52 რვეულია; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად – თითო სვეტში 32 სტრიქონია, დამკვეთი კათალიკოსი ეფთვიმე (401r.); ზედამდგომელი ონოფრე (401r.).

3. (ქიმ N3) მეტაფრასი – (XVI ს.) 752ფ. ზომა 41X27,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; ძველი პაგინაციით 96 რვეულია; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, თითო სვეტში 32 სტრიქონია.

4. (ქიმ N4) მეტაფრასი – 1565 წ. 669ფ. ზომა 42X28; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; ძველი პაგინაციით 84 რვეულია; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, თითო სვეტში 32 სტრიქონია; წიგნში არის კრიპტოგრაფიული მინაწერები (444 v, 484 v, 585 v) გადამწერი მანოელი (668.); დამკვეთი აფხაზეთის კათალიკოსი ეფემონი (668 r); გადაწერის ადგილი გელათი.

5. (ქიმ N5) მეტაფრასი – (XVI ს.) 579ფ. ზომა 40X26,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; ძველი პაგინაციით 74 რვეულია; ტექსტი დაწერილია ორი სხვადასხვა ხელით ორ სვეტად, თითო სვეტში 30-34 სტრიქონია; დამკვეთი აფხაზეთის კათალიკოსი ეფემონი (493r.).

6. (ქიმ N6) მეტაფრასი – (XIII ს.) 94ფ. 'სომა 37X29; ეტრატი; უყდო; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, თითო სვეტში 31 სტრიქონია.
7. (ქიმ N7) მეტაფრასი – (XIII ს.) 422ფ. 'სომა 33X26; ეტრატი; უყდო; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, თითო სვეტში 26 სტრიქონია.
8. (ქიმ N8) მეტაფრასი – (XIV ს.) 986ფ. 'სომა 40X27; ქადაღდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; დაწერილია ორ სვეტად, თითო სვეტში 30-31 სტრიქონია. გადამწერნი მონა'სონი ონოფრე (7r) და მანოელი (746v); დამკვეთი აფხაზეთის კათოლიკოსი ექვთიმე (986 r).
9. (ქიმ N9) გრიგოლ ღვთისმეტყველი – სიტყვანი – (XIII ს.); 340ფ. 'სომა 36X29; ეტრატი, ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; დაზიანებული; ძველი პაგინაციით 44 რვეულია, ტექსტი დაწერილია ორ სვეტად თითო სვეტში 25 სტრიქონია; წიგნის ახლად „მამკობელი“ ქუთათელი მთავარეპისკოპოსი თეოფილე (339v); შემკა'სმელი ოქროპირ ქაჯჯარაძე (330 v).
10. (ქიმ N10) იოსიპოს ფლავიოსი – წიგნი პური-ისად – (XVI ს.); 420ფ. 'სომა 30X21; ქადაღდი, ტყავგა-



დაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ძველი პაგინაციით 54 რვეულია, ტექსტი დაწერილია სხვადასხვა ხელით ორ სვეტად – თითო სვეტში 32-33 სტრიქონია. დამკვეთი აფხაზეთის კათალიკოსი ეფთვი-მი (420v).

11. (ქიმ N11) ტვიპიკონი – (XVII ს.); 220ფ. ზომა 22,5X16,5; ქაღალდი ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; თავბოლონაკლული – დაზიანებული.

12. (ქიმ N12) კონდაკ-კურთხევანი – (XVII ს.); 77ფ. ზომა 29X30; ქაღალდი ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; დაზიანებული; გადამწერი დიაკონ-მონაზონი იოანე (34v).

13. (ქიმ N13) მეტაფრასი – (XVI); 218ფ. ზომა 40X27; მუყაოს ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; დაწერილია ორ სვეტად, სვეტში 31 სტრიქონია.

14. (ქიმ N14) მაქსიმე აღმსარებელი – თხზულებანი – (XII ს.) 310ფ. ზომა 38X29; ქაღალდი ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით, აშიებზე მინაწერები სინგურით, ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, სვეტში 28 სტრიქონია; რესტავირებული.

15. (ქიმ N15) დოღმატიკონი – (XVII–XVIII ს.); 270ფ. ზომა 42X28; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; ძველი პაგინაციით 31 რვეულია; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, თითო სვეტში 54 სტრიქონია.

16. (ქიმ N16) გულანი – (XVII ს.); 1203ფ. ზომა – 42,5X27; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, თითო სვეტში 40 სტრიქონია; გადამწერი კარგარეთელი სვიმონ მესხი (1203v); დამკვეთი ქუთაისის მთავარეპისკოპოსი სვიმონ ნხეტიძე.

17. (ქიმ N17) სჯულის კანონი – (XIII ს.); 486ფ. ზომა 29X21,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ნაკლული; დაზიანებული; დაზიანებული ფურცლები რესტავრირებულია; განახლებულია ვინმე იოსების მიერ ქართლის კათალიკოსის ნიკოლოზის ბრძანებით 1589 წ. (486 v).

18. (ქიმ N18) მეტაფრასი – (XVIII ს.); 367ფ. ზომა 32X21; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, თითო სვეტში 29 სტრიქონია, გადამწერი გელათის მონასტრის მარტომყოფი მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზ მორჩაძე (367); ადგილი – გელათი.

19. (ქიმ N19) იოანე ოქროპირი – „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ – 1047 წ. 551ფ. ზომა 45,5X31,5; ეტრატი; ტყავგადაკრული ხის ყდა, ნუსხური, სათაურები მთავრულითა და სინგურით; ძველი პაგინაციით 69 რვეულია; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად – თითო სვეტში 29 სტრიქონია; გადამწერი გაბრიელი (551 v), გადამწერის ადგილი მანგლისი, დამკვეთი ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტი.

20. (ქიმ N120) იოანე ოქროპირი – თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ – 1048 წ. 524ფ. ზომა 45X30; ტყავგადაკრული ხის ყდა – შემკული ვერცხლის პატარა ბურთულებით, ყდის ორივე მხარეზე ვერცხლის ბურთულებით გამოსახულია ჯვარი; ნუსხური, სათაურები და აზნაცთა პირველი ასოები მთავრულითა და სინგურით; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, თითო სვეტში 29 სტრიქონია; გადამწერი გაბრიელი, ადგილი – მანგლისი; დამკვეთი ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტი.

21. (ქიმ N21) იოანე ოქროპირი – თარგმანებაჲ იოვანეს სახარებისაჲ – 1053 წ. 484ფ. ზომა 45X30; ეტრატი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ყდის ორივე ნახევარზე ვერცხლის პატარა ბურთულებით გამოყვანილია პარალელური ხაზები; ნუსხური, სათაურები და აზნაცთა პირველი ასოები მთავრულითა და სინგურით; დაწერილია ორ სვეტად, სვეტში 28-30 სტრიქონია; გადამწერი – გაბრიელი; ადგილი – აწყური; დამკვეთი – ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტი.

22. (ქიმ N22) საგალობელნი – (XIII ს.); 238ფ. ზომა 17,5X14, ეტრატი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები და აბზაცთა პირველი ასოები მთავრულითა და სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; ძველი პავინაციით 30 რვეულია.

23. (ქიმ N23) დოდმატიკოსი – (XIII ს.); 458ფ. ზომა 33,5X25,5; ეტრატი; ყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; ნაკლული; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, თითო სვეტში 31-32 სტრიქონია.

24. (ქიმ N24) დოდმატიკონი – (XIV ს.); 303ფ. ზომა 32X25; ეტრატი, ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, თითო სვეტში 31 სტრიქონია; აშიებზე გაკეთებულია მინაწერები, ზოგან დახატულია ცხოველები.

25. (ქიმ N25) სჯულის კანონი – (XIII ს.) 312 ფ. ზომა 28X18,5 ქაღალდი, ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; აქვს მარტივი თავკაშმულობა; გადამწერი გრიგოლ ნახრუხაძეს.

26. (ქიმ N26) სჯულის კანონი – 1761 წ. 437 ფ. ზომა 20,5X16; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; ნაკლული,

დაზიანებული; გადამწერი ჯვარის მონასტრის დეკანოზი იოანე (427v); დამკვეთი კათალიკოსი იოსები.

27. (ქიმ N27) ჟამნი – (XVII-XVIII); 240 ფ. ზომა 14X9,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული; დაზიანებული.

28. (ქიმ N28) დაბადება – 1681 წ; 210 ფ. ზომა 28X21,5; ქაღალდი; უყდო; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, თითო სვეტში 26 სტრიქონია.

29. (ქიმ N29) ეფრემ მცირე – „თარგმანება ფლასმუნთა“ – (XII-XIV); 365 ფ. ზომა 30,5X22,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული.

30. (ქიმ N30) მარხვან-ზატიკის საკითხავეები – (XVIII ს.); 229 ფ. ზომა 31X20; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, თითო სვეტში 31 სტრიქონია, გადამწერი ლაზარე; დამკვეთი მთავარეპისკოპოსი ანტონი (229v).

31. (ქიმ N31) იოანე სინელი – კლემაქსი – 1776 წ; 255 ფ. ზ. 20X15; ქაღალდი ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; დამკვეთი კათალიკოსი იოსები (239v).

32. (ქიმ N32) კონდაკი და კურთხევეანი – (XVII); 112 ფ; ზომა 24X18; ქაღალდი; უყდო; ნუსხური; სათაურები ვარაყით; ნაკლული, დაზიანებული; ტექსტს გარშემოვლებული აქვს ვარაყიანი აშია; ზოგან სათაურებს აქვს თავკაზმულობა.

33. (ქიმ N33) სადღესასწაულო – 1740 წ. 271 ფ; ზომა 23X18; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; გადამწერი მთავარდიაკონი იოანე (237r). ადგილი – თბილისი; დამკვეთი წინამძღვარი სილიბისტრო (242v).

34. (ქიმ N34) წმ.მამათა სიტყუანი – (XVII); 193 ფ. ზომა 32X22; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, თითო სვეტში 32-37 სტრიქონია.

35. (ქიმ N35) წმ. მამათა სიტყუანი – (XVII); 255 ფ. ზომა 29X20; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად; თითო სვეტში 33-35 სტრიქონია.

36. (ქიმ N36) თვენი – (XVII–XIX); 614 ფ. ზომა 31X20; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად.

37. (ქიმ N37) თვენი - (XVIII-XIX); 489 ფ. ზომა 30X20; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად.

38. (ქიმ N38) გულანი - 1579-1612 წ.წ; 1084 ფ. ზომა 30,5X21; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; გადამწერნი: ნათანაელი (48v), გიორგი (159r), ზებედე (328v), იოანე (1084v); დამკვეთი აფხაზეთის კათალიკოსი ეფთვიმი (48v).

39. (ქიმ N39) ოთხთავი - XI (გადატანილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში Q-908).

40. (ქიმ N40) სწავლანი და თხრობანი სულიერნი - (XIII-XIV) 252 ფ. ზომა 38X25,5; ქაღალდი; უყდო; ნუსხური, სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად.

41. (ქიმ N41) თვენი - (XVIII); 382 ფ. ზომა 36X25; ქაღალდი; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად.

42. (ქიმ N42) სადღესასწაულო - (XVII-XVIII); 339 ფ; ზომა 41X28; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური; აშიებზე, ზოგან, წმინდანთა ფერადი სურათებია.



43. (ქიმ N43) მეტაფრასი – 1806 წ. 137 ფ. ზომა 42X30; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; დაზიანებული; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად; გადამწერი – ოსე გაბაონი (137r).
44. (ქიმ N44) მეტაფრასი – (XVIII); 133 ფ. ზომა 41X30; ქაღალდი; უყდო; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული; ტექსტი დაწერილია ორ სვეტად.
45. (ქიმ N208) სულხან-საბა ორბელიანი – ქართული ლექსიკონი – (XIX); 142 ფ. ზომა 29,5X19, ქაღალდი; ქსოვილგადაკრული ხის ყდა; მხედრული; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ნაკლული, დაზიანებული.
46. (ქიმ N449) გუგლანი – (XVII); 596 ფ. ზომა 12X8; ქაღალდი; ნუსხური, სათაურები სინგურით; ნაკლული.
47. (ქიმ N450) საეკლესიო საკითხავეები – (XVII-XVIII); 53 ფ. ზომა 21X16; ქაღალდი; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული.
48. (ქიმ N458) სასულიერო კონსისტორიის ტიბიკონი – (XIX) 272 ფ. ზომა 22X17; ქაღალდი; ქსოვილგა-



დაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით.

49. (ქიმ N461) ამონიოსის წიგნი – (XVI-XVII); 245 ფ. ზომა 26X17; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული.

50. (ქიმ N467) საგალობელნი – (XVII-XVIII); 85 ფ. ზომა 12X8,5; ქაღალდი; უყდო; ნუსხური; დაზიანებული, ნაკლული.

51. (ქიმ N468) სჯულის კანონი – (XVIII); 70 ფ. ზომა 10X7; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით. დაზიანებული.

52. (ქიმ N469) წმ. გიორგის ცხოვრება – 1819 წ. 161 ფ. ზომა 10,5X8,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით; გადამწერი ოსე გაბაონი (134v); დასურათებული.

53. (ქიმ N470) საგალობელნი – 1742 წ. 118 ფ. ზომა 9X6,5; ქაღალდი; წითელხავერდგადაკრული მუყაოს ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; დაზიანებული დასურათებული.

54. (ქიმ N494) სწავლანი და ეპისტოლენი – (XVIII); 292 ფ. ზომა 16,5X12,5; ქაღალდი, ტყავგადაკრული

ტეიფრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული; გადამწერი დიაკონი აბრამი (51r).

55. (ქიმ N596) გულანი – 1541 წ. 687 ფ. ზომა 41X27; ქაღალდი; ხის ყდა; ნუსხური, სათაურები სინგურით; ნაკლული; დაწერილია ორ სვეტად; ზოგან სახედაო ასოები გაფორმებულია; გადამწერლები: გერასიმე ღუჩია და ისაკ ციმცაძე; დამკვეთი აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონი (687v).

56. (ქიმ N627) საკითხავ-საგალობელნი – (XVII-XVIII); 23 ფ. ზომა 13X10; ქაღალდი; ტყავშემოცდილი ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული.

57. (ქიმ N644) სადღესასწაულო – (XIV-XV); 103ფ. ზომა 23,5X18; ეტრატი, ყდამოცილებული; ნუსხური, სათაურები სინგურით, ნაკლული.

58. (ქიმ N648) სახარების თარგმანები – (XVI-XVII); 82 ფ. ზომა 30X27; ქაღალდი; ნუსხური, დაზიანებული.

59. (ქიმ N653) წმიდათა ცხოვრება – (XVI); 41 ფ. ზომა 35,6X17; ეტრატი; ყდამოცილებული; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული.

60. (ქიმ N654) ეფრემ ასურის თხზულებათა ნაწილი – (XVI); 78 ფ. ზომა 42X32; ქაღალდი; ნუსხური; სათაურები სინგურით; ნაკლული; დაზიანებული.

61. (ქიმ N670) ღოცვანი - (XVIII); 119 ფ. ზომა 7X4; ქაღალდი, ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური; სათაურები სინგურით; დაკარგული ფურცლები შეცვლილია მოგვიანო პერიოდის ხელით ნაწერი ღურჯი ქაღალდის ფურცლებით.

62. (ქიმ N671) დაბადების ერთი ფურცელი - (X); ეტრატი; ზომა 32X29; ასომთავრული; დაწერილია ორ სვეტად, დაზიანებული.

ქუთაისის მუზეუმში დაცული გელათური ხელნაწერი წიგნების სამონათვალის გაცნობითაც კი ცხადი ხდება, რომ ქართველებს ოდითგანვე ჰქონდათ დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება, როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობის ნიმუშების თარგმნისა თუ ორიგინალური ქართული თხზულებების შექმნის თვალსაზრისით. ჰქონდათ სულიერი მოთხოვნილება თავიანთი გონება გაემდიდრებინათ კაცობრიობის მიერ დაგროვილი მაღალი სულიერი ღირებულებებით და თვითონაც შეეტანათ თავიანთი ღირსეული წვლილი ამ ღირებულებათა გამდიდრების საქმეში.

**"ქორონიკონი იყო მაშინ სპ"**

N76 ხელნაწიში ოთხთავის დათარიღებისათვის

ქუთაისის მუზეუმში დაცული ხელნაწერი წიგნი N76 – ოთხთავი 1592 წლით იყო დათარიღებული<sup>1</sup>. გადამწერის ბასილი თორეღყოფილის ანდერძის გაშიფრვით ირკვევა, რომ ხელნაწერი 1060 წელსაა გადაწერილი შავ მთაზე, ანტიოქიაში, კალიპოს მონასტერში.<sup>2</sup>

წიგნის დათარიღება, ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის შემდგენელს, შესანიშნავ მეცნიერსა და მკვლევარს, ბ-ნ ვესეფ ნიკოლაძეს არ გაუჭირდებოდა, თუ გაეითვალისწინებთ იმას, რომ ხელნაწერის 353v გადამწერი მიუთითებს – „ოდეს აღიწერა წმიდად სახარება ქორონიკონი იყო მაშინ სპ“. ე.ი. 280. აქ, მარტივი არითმეტიკული გამოთვლა იყო საჭირო. მაგრამ ეფ. ნიკოლაძემ, რატომღაც თარიღის დასადგენად მე-12 მოქცევის მაგიერ მე-13 მოქცევა აირჩია და მივიდეთ 1592, ნაცვლად 1060 წლისა. გარკვებას იწვევს ისიც, რომ აღმწერელმა სათანადოდ ვერ შეაფასა ოთხთავის ის ნაწილი, სადაც გადამწერი – ბასილი თორეღყოფილი წერს: „დაიწერა ხელითა ცოდვილისა ბასილ თორედ ყოფილისაითა სანახებსა ასურე-

1 ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. 1 შემდგ. ვესეფ ნიკოლაძე, თბ. 1956, გვ. 215-216

2 ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი N76 გვ. 353r

თისასა, დიდებულსა ქალაქისა დიდისა ანტიოქიისსა, მონასტრისა წარწინებულსა დიდისა კალიპოლისასა, სადიდებულსა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისასა, სამკვიდრებულსა და ნავთსაყუდელსა ქართველთასა, სოხასტერსა შინა მონასტრისა აღმოსავლით, სადიდებულსა წმიდათა მთავარანგელოზთასა“<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ ქართველთა სამონასტრო კოლონია შავ მთაზე, სვიმონ საკვირველმოქმედის მონასტერში, ანტიოქიის მახლობლად მე-11 საუკუნეში წინა წლებთან შედარებით უფრო განვითარდა, რასაც ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ 969-1084 წლებში აქ კვლავ ქრისტიანთა ბატონობა დამყარდა<sup>2</sup>.

გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფიიდან ვგებულობთ, რომ მე-11 საუკუნეში აქ ყოფილა 60-მდე ქართველი მოღვაწე, რომელთაც სვიმონ საკვირველმოქმედის მონასტრის გარდა სხვა ახლომახლო პუნქტებში საკუთარ თუ უცხოელთა მონასტრებში უმოღვაწიათ, კერძოდ: კასტანაში, კალიპოსში, ბარლაამის, მამისა ეზრაისი, ალექსანდრიის, თუაღთა მონასტერში და სხვა.

მე-13 საუკუნეში შავ მთაზე კიდევ არსებობდა ქართული მონასტერი, მაგრამ მას შემდეგ, რაც სირია თურქებმა დაიპყრეს და ანტიოქია პატარა მაჰმადიან ქალაქად იქცა, ხოლო ტაძარ-მონასტერი დანგრეულ-

1 იქვე 353v

2 ქაკაბულიძე - „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“ ტ. I. თბ. 1951 წ. გვ. 89

გავერანებული, ქართველებიც იძულებული შეიქნენ იქაურობა სამუდამოდ მიეტოვებინათ<sup>1</sup>.

ეს ფაქტი ევნიკოლაძისათვის ხელნაწერთა აღწერილობის შედგენის მომენტში და უფრო ადრეც, უცნობი არ უნდა ყოფილიყო. ამას ემატება ისიც, რომ ოთხთავის გადამწერის ხელწერა – გრაფემათა მოხაზულობა და თვით ნუსხის ლექსიკური ერთეულები, რომ არაფერი ვთქვათ გრამატიკულ ნიუანსებზე, გამოკვეთილად მუ-11-12 საუკუნის ხელნაწერთათვისაა დამახასიათებელი, ვერც ამის უცოდინარობას და ვწამებთ აღმწერელს, რადგან აღწერილობის შედგენისას მას არაერთხელ ექნებოდა შეხება ამ პერიოდის ხელნაწერებთან.

ამდენად, თუ ქუთაისის ოთხთავის დათარიღებას 1592 წლით უნებლიე შეცდომად არ მივიჩნევთ, მაშინ უნდა მოვიძიოთ ის მიზეზი, რამაც ევნიკოლაძეს წვეთვის საინტერესო ხელნაწერის ამგვარი დათარიღებისაკენ უბიძგა. ვფიქრობთ, მიზეზი ხელნაწერის მინაწერებს უნდა უკავშირდებოდეს. ამჯერად მხოლოდ იმ მინაწერებზე შევხერდებით, რომლებიც ამ მოსაზრების არგუმენტად შეიძლება გამოგვადგეს და რომლებშიაც მანაველ ქასელაძე და მისი ახლობლებია მოხსენებული. ასეთი მინაწერები ოთხთავში მრავლადაა. კერძოდ: „ამა ოთხთავუნისა მადლო შეიწყალებ სული მანაველ ქასელაძისა, იხსენი ყოველისა ცოდვისაგან“, „ამა

<sup>1</sup> ქვეყიქიშვილი – „ქართველოლოგიის საკითხები“ თავი V, ქუთ. 1992 წ. გვ. 80.

ოთხთაუნისა მადლო შეიწყალე სული მანაველ სული დედისა და მამისა ოანე ქასელაძისა“<sup>1</sup>.

„უფალო ღმერთო შეიწყალე და აცხოვნე სული იოანეს ქასელაძისა...“<sup>2</sup>

ცნობებს მანაველ ქასელაძეზე ქუთაისის მუზეუმის N248 ხელნაწერ ოთხთაეში მივაკელიეთ. იგი XV-XVI საუკუნითაა დათარიღებული. ოთხთაეის ანდერძში ვკითხულობთ: „დიდებაჲ ღმერთსა, ოთხთაენო სახარუბანო: მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე. შეიწყალე სული მუხიერ ყიფიანისა და თანამეცხედრისა მისსა ელენესა, ყიფიანის ქალისა, ... ესე ოთხთაეი ფურცლად დაშლილი იყო და დაოხრებული. მერმე მოვიყვანე მწერალი ქასელაძე მანაველ და შევამკვე ახლად წიგნი ესე მას ეამსა, როდეს ქართველთა მეფე სვიმონ თათართა დაიჭირეს და წაიყვანეს, ქართლი ააოხრეს საყდრითურთ (1599 წ. – ც.მ.) ვინცა ჩვენის ცოდვილის სულისთვის შენდობას ბრძანებდეთ, თქუენცა შეგინდოს ღმერთმან თქუენი ცოდვანი, რაცა ამა ჯვარ-ხატსა ხელი უნდა, მასაცა მოვატყედინებთ, ოქრომტყედელიცა ის არის“<sup>3</sup>.

ანდერძიდან ჩანს, რომ მანაველ ქასელაძე მწერალიც ყოფილა და ოქრომტყედელიც. მის მიერ N248 ოთხთაეში გაახლებული და შეკსებული ნაკლული ტექსტები დაუდევარი ხელითა და განსაკუთრებულად შავი მელნით არის შესრულებული. ასეთივე მელნით

1 დასახლებული ხელნაწერი – 146v

2 იქვე 198 v

3 ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი წიგნი N248, გვ. 189 v

გაუკეთებია მას მინაწერები ჩვენთვის საინტერესო ოთხთავეში და ზოგიერთი ადგილი, რომელიც გაცვეთილი იყო და ძნელად იკითხებოდა, გაუახლებია. ვფიქრობთ, XVI საუკუნის მეტნაკლებად ცნობილი პირის – მანაველ ქასელაძის მიერ N76 ხელნაწერის ზოგიერთი ადგილის გაახლებამ და წიგნში ქასელაძეებზე უხვად არსებულმა მინაწერებმა ევ. ნიკოლაძეს აფიქრებინა – ხელნაწერი XVI საუკუნით დაეთარილებინა.

პირველი ცნობა ჩვენი კვლევის საგანზე ჯერ კიდევ 1989 წელს გამოუქვეყნებია თ. ჟორდანიას<sup>1</sup>. მისთვის ვინმე ქარსელაძეს ღენხუმიდან დროებით ჩამოუტანია ტყავზე შესრულებული ოთხთავე.

თ. ჟორდანიამ ხელნაწერში მოცემული ქორონიკონით წიგნი 1060 წლით დაათარილა, გაშიფრა და გამოსცა ოთხთავეის ანდერძი, როგორც გიორგი მთაწმინდელისა, ისე ნაწილობრივ ხელნაწერის გადამწერის ბასილ თორელყოფილისა. ამის შემდეგ ოთხთავე ქართველ მეცნიერთა თვალსაწიერიდან გაქრა.

1925 წელს ოთხთავე სხვა საეკლესიო დანიშნულების ნიუთებთან ერთად ცნობილ მოგზაურსა და მკვლევარს გიორგი ბოჭორიძეს ღენხუმიდან, კერძოდ თაბორის ეკლესიიდან ჩამოაქვს ქუთაისის მუზეუმში<sup>2</sup>.

ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი წიგნი N76 – ოთხთავეი შეიცავს 353 ფურცელს, მისი ზომებია 21X16 სმ; ეტრატე; აქვს ტყავდაკრული ტვიფრული ხის ყდა;

1 თ. ჟორდანია – ქრონიკები, ტფილისი 1892 წ. გვ. 207-208

2 E – 192/763 სია ღენხუმის ხელნაწერი წიგნებისა



დაწერილია ორ სვეტად; შესრულებულია ნუსხურით, სათაურები სინგურით; სათაურები, სახედაო ასოები, სახარებათა სახელწოდება და ზოგიერთი სიტყვა დაწერილია ასომთავრულით. ძველი პაგინაციით 45 რეკულია, ნაკლული – წყდება იოანეს სახარების შემდეგ სიტყვებზე: „ამინ, ამინ „გეტჳჳ შენ: ოდეს იყავ ჭაბუკ, შეირტყი თავით“...

ხელნაწერი შეიცავს მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებებს. წინ უძღვის: „ეესები კარპიანეს საყვარელსა ძმასა უფლისა მიერ გიკითხავ“ (1 v); სახარებათა საკითხავების სიმფონიური ცხრილი (2 r-6 v); თითოეულ სახარებას წინ დართული აქვს მახარებლის სურათი ასმთავრული წარწერით; ოთხთავს დართული აქვს „განგება სახარებათა საძიებლისაჲ, წელიწადისა დღესასწაულთაჲ, ვითა მივალს სვინაქსარი წესსა ზედა ბერძნულსა სრულებით“ (310v-350 r), აქვს მინაწერები. სახარებაში წარმოდგენილია გიორგი მთაწმინდელის ანდერძი: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი ჩუშნ ახლად გვითარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერებათაჲთა და ბერძულთა სახარებათა შეგვიწამებია ფრიადითა გამოწულილვითა და ვინცავინ სწერდეთ, ვითა აქა კპოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ გინდეს დაწერად, ღვთისათვის სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ და თუ არა რამე გაშუნდეს, ჩუშნნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილ არს და კეთილად

ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, მუნით დაწერეთ და ღუთისათვის ერთმანეთსა ნუ განპრევთ და გლახაკისა გიორგისთვის ღოცვა ყავთ“ და იქვე „ღოცვა ყავთ წმიდანო ღუთისანო უღირსისა ბასილისთვისცა, რომელმან წმიდაჲ ესე ოთხთავე მამისა გიორგის თარგმნილისა სახარებისაგან გარდმოვწერე და შეწამებაჲ დიად მიხარკებია. ღუთისათვის სიტყუასა ნუ შესცვალებთ“. /310 გვ/<sup>1</sup>

დიდი ქართველი მოღვაწე გიორგი მთაწმიდელი ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მუშაობისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სახარებას, მას არ აკმაყოფილებდა ქართული სახარების ის ტექსტი, რომელიც მის დროს იყო გავრცელებული, რადგან მასში მისი აზრით, ბევრი ადგილი არ შეესატყვისებოდა ბერძნულ ორიგინალს და არც ქართულად იყო სათანადოდ გაწყობილი. ამიტომ მას განუზრახავს საგულდაგულოდ შეეჯერებინა ქართული ტექსტი ბერძნული-სათვის, სადაც საჭიროდ დაინახავდა შეესწორებინა და ახალი ვარიანტი მოეცა.<sup>2</sup>

თარგმნიდა თუ არა გიორგი მთაწმინდელი რომელიმე წიგნს, იმწამსვე შეუდგებოდნენ მის გადაწერას სასლვარგარეთულ ქართულ სამონასტრო-საეკლესიო ცენტრებში და საქართველოს ყველა კუთხეში.<sup>3</sup>

1 ხელნაწერი წიგნი N76 გვ. 310 r

2 ივ. იმნაიშვილი - „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია“ - თბ. 1979 წ. გვ. 153

3 კ. კეკელიძე - დასახელებული ნაშრომი გვ. 196

„...ვითარ სრულქმნა თარგმანებაჲ წიგნთა საღმრთოთათაჲ და მოირწუნეს ეკლესიანი შავისა მთისანი წიგნთა მისთა მდინართა სულთა განმანათლებელითა, რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს... ყოველნი ეკლესიანი განშვენდეს სამკაულითა წმიდათა წიგნთა მისთაჲთა“...<sup>1</sup> წერს გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი, მისივე თანამედროვე და ნამოწაფარი გიორგი მცირე.

ზემოთ აღნიშნული თანაბრად შეეხება გიორგი მთაწმინდელის მიერ ახლად თარგმნილ და ბერძნულ სახარებებთან „ფრიადითა გამოწულილვითა“ შეჯერებულ სახარებას, უფრო მეტიც მომდევნო საუკუნეებში მან საბოლოოდ განდევნა ყველა დანარჩენი რედაქცია და თვითონ იქცა ქართულ ვულგატად<sup>2</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ გადამწერთა შეგნებული, თუ უცაბედი დაუდევრობით სახარების გიორგი მთაწმინდისეულმა რედაქციამ მომდევნო საუკუნეებში გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. ამის დასამტკიცებლად სახარებათა ნუსხების შედარება არ დაგვჭირდება. საკმარისია სხვადასხვა ნუსხებიდან ერთმანეთს შევუდაროთ გიორგი მთაწმინდელის ანდერძის ტექსტი. სხვაობა მათ შორის იმდენად პრინციპულია, რომ ამ ცვლილებებმა ანდერძისადმი მკვლევართა ძირითადად ორგვარი დამოკიდებულება განაპირობა, ერთნი გელათის, ლენსუძის, ლაბსკაღდისა და სხვა სახარებებზე

1 ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით – თბ. 1901 წ.

2 აკ.შანიძე – „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია“ თბ. 1945 წ. გვ. 8

დაყრდნობით ფიქრობენ, რომ გიორგი თავის ნაშრომს, სახარების ახალ თარგმნად მიიხსენებს, მეორენი კი ბრეტის, ახალციხურ, მოქვის, ენშიაძინის, უბისისა და სხვა სახარებების მიხედვით გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ გიორგის მიეწერება არა ახლად თარგმნა, არამედ მხოლოდ საფუძვლიანი შეჯერება-შეწამება ბერძნულ სახარებებთან.<sup>1</sup>

ეს ვრცელი მიმოხილვა იმისთვის დაგეგმირდა, რომ თვალნათლივ წარმოგვეჩინა არამატო სახარების გიორგი მთაწმინდისეული რედაქციის უპირატესობა და ნარჩენ რედაქციებთან, არამედ ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ამ რედაქციის ყველაზე ადრინდელ ნუსხებს ენიჭებათ დედანთან ტექსტობრივი სიახლოვის თვალსაზრისით. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახარების გიორგი მთაწმინდისეული რედაქციის დღემდე მეცნიერულად შესწავლილი და გამოცემული ნუსხებიდან ყველაზე ადრინდელი XII საუკუნისაა (ვანის, ენშიაძინის, გელათის ოთხთავები).

ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქუთაისის მუზეუმის ოთხთავი N76, რომელიც 1060 წელს არის გადაწერილი და დღემდე არასწორი დათარიღების გამო იგი ვერ მოხვდა მკვლევართა ინტერესის არეალში. მიგვაჩნია, რომ ეს ხარვეზი დროულად უნდა გასწორდეს. მით უფრო, რომ ქუთაისის ოთხთავი, მისი გადამწერის ბასილი თორელყოფილის ანდერძის

<sup>1</sup> ივ. იმნაიშვილი - დასახელებული ნაშრომი გვ. 54-55.



მიხედვით, უშუალოდ გიორგი მთაწმინდელის სახარების დედნიდან უნდა იყოს გადაწერილი. ანდერძში ეს მინიშნება ორჯერ არის მოცემული:

1. „ლოცვა ყავთ წმინდანო ღვთისანო უღირსისა ბასილისთვისცა, რომელმან წმიდა ესე ოთხთავი მამისა გიორგის თარგმნილისა სახარებისაგან გარდმოვწერე და შეწამებაჲ დიად მიხარკებია. ღვთისათვის სიტყუასა ნუ შესცვალებთ“.<sup>1</sup>

2. „...ბასილი თორელ ყოფილი, ღირს ვიქმენ აღწერად და განსრულებად წმიდა ამას ოთხთავსა სახარებასა განწმენდილსა ახლად და მართაღსა და უფროეს მხისა ბრწეინვაღესა წმიდისა მამისა ნუენისა მიერ გიორგი მთაწმინდელისა, რომელსა შინა არა არს ერთიცა ასოჲ მრუდი და ნაკლული და არც მეტი და არცა თუ ნაშრომი უნდოდ ასუენებს მწერლობისაგან უმეცრებისა ნემისა მიერ“.<sup>2</sup>

ამდენად, ქუთაისის მუზეუმის N76 ხელნაწერი წიგნი – ოთხთავი სახარების გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ ნუსხად უნდა მივიხსიოთ.

1 ქუთაისის ხელნაწერი ოთხთავი №76 გვ. 353r

2 იქვე გვ. 353

## "...გარდმოვწერე და შევაგებე დღიად მიხარკებია"

/ბასილ თორელყოფილის ანდერძის გამო/

ქუთაისის მუზეუმში დაცული ხელნაწერი ოთხთავი №76 შავ მთაზე, ანტიოქიაში, კალიპოს ღვთისმშობლის მონასტერშია გადაწერილი—1060წელს. როგორც მისი გადამწერი ბასილი თორელყოფილი თავის ანდერძში მიუთითებს ოთხთავი გადაწერილია უშუალოდ გიორგი მთაწმინდელის ხელნაწერიდან: „ბასილი თორელყოფილი ღირს ვიქმენ აღწერად და განსრულებად წმიდა ამას ოთხთავსა სახარებასა განწმენდისა ახლად და მართალსა და უფროდს მისსა ბრწყინვალესა წმიდისა მამისა ნუნისა მიერ გიორგი მთაწმინდელისა, რომელსა შინა არა არს ერთიცა ასოჲ მრუდი და ნაკლები და არცა მეტი. დაღაცათუ ნაშრომი უნდოდ აწვენებს მწერდობისაგან უმეცრებისა ნემისა მიერ“ და კიდევ: „ღოცვა ყავთ წმიდანო ღმრთისანო უღირსისა ბასილისათვისცა, რომელმან წმიდა ესე ოთხთავი მამისა გიორგის თარგმნილისა სახარებისაგან გარდმოვწერე და შევაგებე დღიად მიხარკებია.“

გადამწერის ანდერძში გაცხადებულია, რომ მან ოთხთავი გადაწერა გიორგი მთაწმინდელის მიერ ახლადგანწმენდილი და მართალი სახარებიდან ე.ი. დედნიდან. ამ მომენტის აღნიშვნა მეტად მნიშვნელოვანია.

თუ გავეთვალისწინებთ იმას, რომ გიორგი მთაწმინდელის მიერ "ახლადნათარგმნი" ოთხთავი ყველასთვის როდი იყო მისაწვდომი. მისი რედაქციის ნუსხები ძირითადად დედნიდან გადაწერილი ხელნაწერიდან ვრცელდებოდა. ამ მიმართებით საინტერესოა ვანის ოთხთავის/XIII/ გადამწერის იოვანეს მინაწერი, რომელიც ვანის ოთხთავში გიორგი მთაწმინდელის ანდერძის შემდეგ არის წამოღგენილი. იგი იუწყება: "საყუარულნო, ჯერ არს, რაითა წმიდისა ამის სახარებისა ვითარობად განემარტოს სიწმიდეს/ა/ თქუენსა, და არა თვით-შჯულობით ჰგონოთ შეცვლად სიტყუათად წმიდისა ამის სახარებისა ანუ ანდერძისათად. არამედ ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ყოველნივე ქართულნი, მთაწმიდით აღწერილნი და გამოსრულნი, ღირსისა მამის გიორგის თარგმნილნი საეკლესიოსა სახარებისაგან, რომელ მთაწმიდელნი იხმარებენ, აღწერილნი და არა მისგან, რომელი თვით გიორგი თარგმნა და ნუსხად მდებარე იყო დიდსა წიგნის-საცავსა, არამედ მისგან გადაწერილისაგან. და მას ნუსხასა თანა ფრიადი ნაკლულევეანებად აქუს, და ვჰგონებ, რომელ თვით-შჯულობით ვიეთმე ეკადროს მას შინა შეცვლად სიტყუათად გინა ანდერძისად, ვიდრე მწერლისაგან განრყუნად, ხოლო ჩუენთა ამათ შინა ეამთა დიდი მოღუაწეთა შორის ბერი ზაქარია, მი-რად-ვიდა მთასა წმიდასა, ძიებ-ყო გიორგის მიერ აღწერილისა წმიდისა მის სახარებისათვის და პოა დიდსა წიგნის-საცავსა შინა და აღიესო სიხარულითა, და მიერ გარ-

დმოეწერა შატბერდელსა ხუცესსა სტეფანეს. და აღ-  
 მო-რაჲ-ვიდა რომანას, მე ხელ-ვეავ, ცოდვილმან იოვანე,  
 აღწერად, რამეთუ ადრითგან სწყუროდა სულსა ჩემსა  
 მოგებად წმიდისა სახარებისა.” აქვეყნებს რა იოვან-  
 ნეს მინაწერს ივანე იმნაიშვილი იქვე განმარტავს, რომ  
 დიდ მოღვაწე ბერ ზაქარიას დიდი შრომით მიუგნია  
 მთაწმინდაზე თვით გიორგის ხელით შესრულებული  
 ოთხთავისათვის,

გადაუწერიანებია იგი შატბერდელი ხუცესის სტეფან-  
 ნესთვის, ხოლო ამ უკანასკნელის ხელნაწერისაგან გა-  
 დაულია ვანის ოთხთავის გადამწერს იოვანეს. “ეს გა-  
 რემოება— აღნიშნავს ივ. იმნაიშვილი,—გვაკადებს, რომ  
 დიდი ნდობით მოვეპყროთ ვანის ოთხთავს, როგორც  
 ორიგინალთან /თვით გიორგის ხელით დაწერილთან/  
**ყველაზე უფრო ახლო მყოფსა და დაუმახინჯებელს.”**  
 ივანე იმნაიშვილის წიგნი —“ქართული ოთხთავის ბო-  
 ლო ორი რედაქცია” 1979წელს დაიბეჭდა . როგორც  
 ნანს ამ პერიოდისათვის მკვლევარი არ იცნობდა  
 ქუთაისის მუზეუმის №76 ხელნაწერ ოთხთავს,  
 რომელიც უშუალოდ გიორგი მთაწმინდელის ნუსხი-  
 დან არის გადაწერილი და ამიტომ ორიგინალთან  
 ყველაზე უფრო ახლო მყოფად და დაუმახინჯებლად  
 XIIIსაუკუნეში გადაწერილ ვანის ოთხთავს მიიხევედა.  
 აღნიშნულიდან გამომდინარე ქუთაისის მუზეუმის ოთ-  
 ხთავს, როგორც უშუალოდ დედნიდან გადაწერილს,  
 განუსომელი მნიშვნელობა ენიჭება ორიგინალის ტექ-



სტის დადგენისა და საერთოდ ყველა იმ ინფორმაციის უღაობაში, რომელსაც იგი შეიცავს.

ცნობა იმის შესახებ, თუ რომელ წლებში მოახდინა გიორგი მთაწმინდელმა ოთხთავის რედაქცია, დღემდე არ მოგვეპოვება. თუმცა ქუთაისის მუზეუმის ოთხთავის გადაწერის თარიღის /1060წ/ გათვალისწინებით, თუ მოვახდენთ გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფიის ამავ პერიოდის მიმოხილვას, შეიძლება ვივარაუდოთ რომ იგი ოთხთავის მისეულ რედაქციაზე 1056-1059 წლებში მუშაობდა. გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფიიდან, რომელიც მის მოწაფეს გიორგი მცირეს ეკუთვნის, ვგებულობთ, რომ 1056 წლისთვის სამონასტრო სრუნევამ გიორგი სულ ერთიანად შთანთქა, სხვა საქმიანათვის მას დრო აღარ რჩებოდა. "მაშინ გულისხმავო და განიზრახა ღმრთისამიურითა განგებითა, ვითარმედ ღმრთივმინიჭებული იგი ტალანტი არა აღორძინდებოდა, რომელ არს ღმრთივსულიერთა წიგნთა თარგმნაჲ. იჯნა წინამძღურობისაგან, შენდობა ითხოვა ძმათა ეოველთაგან," დაუტოვა მათ ყველა, დეკანოზობაში თუ წინამძღურობაში ნათარგმნი წიგნი, . . . და შავ მთაზე წავიდა, სადაც წიგნების თარგმნას შეუდგა. 1060 წლისათვის ბაგრატ მეფემ, რომელმაც გაიგო, "რომ სრულ იქმნა თარგმანებაჲ წიგნთაჲ საღმრთოთაჲ" გიორგის მიერ, საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად მიიწვია იგი საქართველოში.

ამდენად, ოთხთავის რედაქციაზე გიორგი მთაწმინდელს შავ მთაზე ყოფნის პერიოდში უნდა ემუშავა.



ამიტომ გახდა მისი ხელნაწერი ხელმისაწვდომი შავ მთაზე კალიპოს მონასტერში მოღვაწე ბასილი თორელყოფილისათვის, რომელმაც 1060 წლისათვის დაასრულა კიდევ გიორგის ნუსხიდან სახარების სრული ტექსტის გადაწერა და დაურთო მას საკუთრივ მის მიერ, ბერძნული წესით შედგენილი “განგებაჲ სახარებათა საძიებლისაჲ” და ვრცელი ანდერძი.

ჩვენს ვარაუდს ამაგრებს ისიც, რომ კალიპოს მონასტერშივე 1054 წელს გადაიწერა ალავერდის ოთხთავი და იგი ექვთიმე ათონელის რედაქციის ნუსხას წარმოადგენს. გიორგი მცირე გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფიაში აღნიშნავს, რომ, როგორც კი გიორგი დაამთავრებდა რომელიმე წიგნზე მუშაობას, იგი იქვე გადაიწერებოდა და ვრცელდებოდა საზღვარგარეთ მდებარე ქართულ მონასტრებსა და თვით საქართველოშიც. მე არ ვამცირებ ექვთიმე ათონელის რედაქციის ოთხთავის მნიშვნელობას, მაგრამ როგორც ჩანს 1054 წლისათვის ოთხთავის გიორგისეული რედაქცია არ არსებობდა, თორემ “განწმედილსა ახლად და მართალსა და უფროჲს მზისა ბრწყინვალესა” ოთხთავს, როგორადაც მას ჩვენი ხელნაწერის გადამწერი ბასილი თორელყოფილი იხსენიებს, ალავერდის ოთხთავის გადამწერი ძველს—ექვთიმე ათონელის რედაქციას რატომ ამჯობინებდა?! ამდენად, ჩვენი ვარაუდი იმის თაობაზე, რომ გიორგი მთაწმინდელი ოთხთავის რედაქციაზე 1056-59 წლებში მუშაობდა, საფუძველს სიკვლებული არ უნდა იყოს.

თვით გიორგი მთაწმინდელის ანდერძი, რომელიც იოანეს სახარების შემდეგ არის მუხეუმის ოთხთავში წარმოდგენილი, იუწყება: „ესე საცნაურ იყავ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდად ოთხთავი ჩუენ ახლად გვითარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთადთა და ბერძულთა სახარებათა შეგვიწამებია ფრიადითა გამოწულილვითა და ვინცა ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ გინდეს დაწერად, ღმრთისათვის სიტყუათა ნუ სცვალვებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ და თუ არა რაიმე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველთაგან წმიდად თარგმნილ არს და კეთილად ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა მუნით დაწერეთ და ღმრთისათვის ერთმანეთსა ნუ განჰრევთ და გლახაკისა გიორგისთვის ლოცვა ყავთ“.

ანდერძში გიორგი მთაწმინდელი აღნიშნავს, რომ მას ახლად უთარგმნია ოთხთავი, რაც უშუალოდ უცხო ენიდან თარგმნად არ უნდა მივიჩნიოთ. იგი უფრო რედაქტირებას უნდა გულისხმობდეს, რადგან ანდერძში რომ ლაპარაკი იყოს „თარგმანის“ პირდაპირ მნიშვნელობაზე, მაშინ სრულიად გაუგებარია გიორგის მინიშნება იმაზე, რომ ოთხთავი „ბერძულთა სახარებათა შეგვიწამებია ფრიადითა გამოწულილვითა“ — ე.ი. ბერძნული სახარებისათვის შეგვიდარებიაო — გიორგი მთაწმინდელი მის მიერ ჩატარებულ საქმიანობას ორი ინტეპრეტაციით რატომ წარმოგვიდგენდა?! რა თქმა უნდა იგი სამართლიანად მიუთითებს

იმ დიდ შრომაზე, რაც მას დასჭირდა სახარების უცხოენოვან (ამ შემთხვევაში ბერძნულ) დედანთან დასახლოებლად და მისი ქართული ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად, რითაც, როგორც ბასილი თორელყოფილი აღნიშნავს — „უფროვს მზისა ბრწყინვალე“ გახადა იგი.

გიორგი მთაწმინდელის ანდერძმა მომდევნო საუკუნეებში გადაწერილ ნუსხებში გარკვეული ცვლილება განიცადა, რამაც მკვლევართა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამიტომ მისი ანდერძის იმ ვარიანტს, რომელიც ქუთაისის მუზეუმის № 76 ოთხთავშია წარმოდგენილი არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამ საკითხში სიცხადის შეტანისათვის. რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იმით არის განპირობებული, რომ მუზეუმის ოთხთავი გიორგი მთაწმინდელის რედაქციის დღემდე ცნობილ ოთხთავთაგან ყველაზე ადრინდელია და ბუნებრივია, მასში დაცულ ანდერძსაც დედანთან სიახლოვის პრეტენზია აქვს. ესეც არ იყოს, მეცნიერთა დავას იმის შესახებ თუ რაზე მიგვანიშნებდა გიორგი მთაწმინდელი თავის ანდერძში—ოთხთავის ხელახლა თარგმნაზე თუ ექვთიმეს რედაქციის ოთხთავის რედაქტირებაზე, საბოლოოდ საფუძველს აცდის ქუთაისის ოთხთავის გადამწერის ბასილი თორელყოფილის ანდერძი, რომელშიც იგი აშკარად მიუთითებს: “ღირს ვიქმენ აღწერად და განსრულებად წმიდა ამას ოთხთავსა სახარებასა **განწმედელსა ახლად** /და არა ახლადნათრავმნს—ც.მ. /მართალსა და უფროის მზისა

ბრწინვალესა წმიდისა მამისა ნეენისა მიერ გიორგი მთაწმიდელისა”. ამდენად, მკვლევართა დაკა გიორგი მთაწმინდელის ანდერძის ორგვარად წაკითხვასთან დაკავშირებით, ქუთაისის მუზეუმის ოთხთავზე დაურდნობით, აწ დასრულებულად უნდა მივიჩნიოთ.

თვით ოთხთავის გადამწერის ბასილი თორელყოფილის ანდერძი დიდ ინტერესს იწვევს იმ მიმართებით, რომ მასში ხატოვნად და უდიდესი მოწიწებით არის გაცხადებული მისი დამოკიდებულება ქრისტიანული რელიგიის საფუძვლებისადმი და თვით სახარებისადმი, რომელსაც „წმიდათასა ცათა და ქუეყანისა უსეშთაესსა წიგნსა“ უწოდებს. ვფიქრობთ, ბასილი თორელყოფილის ანდერძი დიდ ინტერესს გამოიწვევს მკითხველში, ამიტომ მას მთლიანად ვაქვეყნებთ:

მადლი და დიდებაჲ პა-  
ტივი და თაყვანისცე-  
მაი ყოველად წმიდა სამებასა მამა-  
სა და ძესა და წმიდა სუელსა,  
რომელმან აურაცხელითა კაცთ-  
მოყუარებითა თვისითა  
აურაცხელნი მადლნი კეთი-  
ლნი და ნიჭნი სრულნი მო-  
ჰმადლნა კაცთა და განგ-  
უეცხადა მორწმუნეთა სა-  
ხიერებით, რომლისა მიმართ  
გურწმენა და აღვიარებთ

და გუეუწყა ჭეშმარიტებად  
 მისი მართლ მადიდებლობით  
 ხარებისაებრ და უწყებო-  
 სა წმიდათა მოციქულთა და მა-  
 ხარებელთადასა და სულითა  
 წმიდითა მათ მიერ აღწერილი-  
 სა წიგნისა ამის მიერ ყოვლად  
 წმიდისა, რომელიცა ესე მოგ-  
 უეთხრა ოთხთა მიერ მა-  
 ხარებელთა სულითა წმიდითა  
 აღვსებულთა მათეს,  
 მარკოზს, ლუკას და  
 იოვანეს, რომელ მეტყუე-  
 ლებს საკვირველებათა  
 და ყოველთავე ღვთაებისა  
 და კაცებისა განგებულუ-  
 [ბასა]. . . . . მკსნელისა. . . .  
 . . . . . ჩუენს. . . . . ,  
 რომელი ყოველთავე ბრძანებათა  
 შინა თვისთა დაამტკიცებს მამისა  
 თანა დაუსაბამოდსა და ყოვლად  
 წმიდისა სულისა თანა სწორებასა,  
 თანა დაუსაბამოებასა და სუ-  
 ფეკასა თვისსა, რომელსა აღვი-  
 რებთ და ვადიდებთ თანა მამით და  
 სულით წმიდითურთ სამგუა-  
 მოენებით და ერთ ღვთაებით,

რომელი სუფევს საუკუნი-  
 თგან და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ამისთვისცა დიდითა სურვი-  
 ლითა და მჭურვალითა  
 სარწმუნოებითა თანამდებ ვართ  
 ყოველნი მორწმუნენი და გვიდირს,  
 რადთა მოსწრაფებით პატიუ-  
 ვსცემდეთ ტკბილთა ამათ  
 ბრძანებათა უფლისა ღვთისა  
 მხსნელისა და მაცხოვრისა  
 ჩუენისა იესუ ქრისტესთა მახარუ-  
 ბელთა ჩუენისა გამოვსნისათა.

**და** რადთა აღვიწერდეთ, გუ-  
 ლსმოდგინედ ვიკითხვი-  
 დეთ, ღმობიერად ვისმენ-  
 დეთ წადიერად და გულისკმა-  
 ვპყოფდეთ გონიერად

.....  
 ..... ყოველთავე მცნუ-  
 ბათა დამბადებელისა და ღვთი-  
 სა ჩუენისათა.

**ესე** არს წიგნი იგი აღთქუ  
 მისაჲ დაუსრულებელთა  
 მით კეთილთაჲ არათუ მითთ  
 სინაჲთ ათთა მათ მცნუ-  
 ბათაჲ მოსეს მიერ მოდებუ-  
 ლი, არამედ ზესკნელს ცისა

ცათამთ თვით თავადისა და-  
უსაბამოსა ღმრთეებისა  
სახიერებით წუენთვის განკაცებ-  
ულისა პირითა ბრძანე-  
ბული და დაუკლებულად  
მახარებელი და მაუწყებუ-  
ლი კეთილთა მათ და სუფ-  
ევათა საუკუნეთამ.

**ესე** არს ამას შინა წერილი  
იგი მარგალიტი უსასყიდ-  
ლოდ, რომლისათვის ჯერ არს  
საფასეთა ყოველთა განსყიდად  
და მის მხოლოსა მოსყი-  
დად უხუად განმამდიდ-  
რებელისაჲ სიმდიდრითა

.....

**ესე** არს წყალობაჲ იგი ცხო-  
რებისაჲ და საზრდელი  
უკვდავებისაჲ, განმა-  
მტკიცებელი გულთა ცო-  
ღვისა მიერ მომქმართაჲ და  
გამომზრდელი უხუებით  
ყოველთაჲე შიმშილითა ვნებ-  
ათაჲთა შეიწრებულთაჲ

**ესე** არს ოქროჲ იგი გულის-  
ხმის ყოფისაჲ და სასუ-  
მელი სიხარულისაჲ,



მახარებელი გუღთაჲ და  
 განმარბნობელი უ-  
 გულისხმოთაჲ.

**ესე** არს ხმ იგი ბორობანი  
 რომლისა რტოთა მისთა დაი-  
 გრილონ და განისუენონ  
 ყოველთავე მაშურალთა  
 და ტვირთმძიმეთა ცოდვითა,

**ესე** არს სამოთხმ იგი შუ-  
 ენიერებისაჲ საესმ  
 მრავალფერითა ყუაგილი-  
 თა და ნაყოფითა სურნე-  
 ლებისაჲთა, რომელი განასუ-  
 ღნელებს ყოველთავე ცოდ-  
 ვისა მიერ დაყროლებულთა.

**ესე** არს საუნჯმ იგი მო-  
 უკლებელი, რომელი არცა  
 მლილმან და არცა მჭამელმან  
 განრყუნის და არცა მპა-  
 რათა დათხარიან და განი-  
 პარიან და ატირებს მომ-  
 გებულთა სიხარულითა  
 საუკუნოთა.

**ესე** არს ჭეშმარიტად კიბმ  
 ცად აღმყვანებელი და  
 კარი სასუფეველისაჲ  
 მიმაახლებელი ღვთისაჲ და

თანა მოდასე მყოფელი  
ანგელოზთაჲ.

**მ**ოვედით ყოველთა ო ნაკლუ-  
ლევანსათა ო დაგლახაკუ-  
ბუნო, ო მშიერნო

და მომყმარნო ცოდვათა მიერ  
და ბრალთა ესერა მზა არს  
. . . . იგი ტკბილისა მის და

**ს**ახიერისა მეუფისაჲ. მო-  
ვედით და უხუებით გან-  
ვრიეთ, მოვედით და გან-  
ვისუენოთ, მოვედით

და აღვივსნეთ კეთილთა-  
გან მისთა მოუკლებელთა.

**რ**ომელ იგი თავადი ტკბილ არს  
უმაღლოთათვისცა და უკუ-  
თურთა, რომელმან უხუე-  
ბით მიანიჭნის კეთილნი მი-  
სნი და არავის აყუედრის.

ამად აღდგების და იტყვის  
ხმითა მით ტკბილითა და სა-  
ხიერითა

**მ**ე ვარ. . . . .

. . . . . რომელი ჭამდეს ჩემგან  
არა სადა ჰშიოდის, რომელთა  
სწუროდის მოვედინ ჩემ-

და სუემდით და კვალად იტყვის:

**მე** ვარ ნათელი სოფლისაჲ,  
 რომელი შემომიდგეს მე არა ვი-  
 დოდის ბნელსა, არამედ უნდეს-  
 მას ნათელი ცხოვრები-  
 საჲ და კვალად იტყვის:

**მოვედით** ჩემდა ყოველნი მაშურაღნი  
 და რომელთა ტვირთი მძიმედ გუ-  
 ტვირთა და მე განგისუენო  
 თქვენ და შემდგომად ყოველნივე  
 სახიერებით და სიტკბოებით  
 ბრძანებანი მისნი რომელთაჲ  
 არა არს რიცხვი და ვინმცა  
 უძლო დაბადებულთაგან მან  
 მიწველომად გინა აღრაცხთად  
 სახიერებათა მისთა უფსკრულსა.  
**ამად** ჯერ არს ჩუენდა შიშით და  
 ძრწოლით დიდითა სარწმუნო-  
 ებითა მადლობაჲ აურაცხე-  
 ღთა ქველის მოქმედება-  
 თა და კაცთმოყუარებასა  
 მისსა მიუთხრობელსა და

.....

..... და მათის

..... და დიდების მე-

ტყუელებად სახელსა მისსა ყოვლად  
 წმიდისა დიდად შეუნიერსა.

ამას შეუვრდეთ ძვირ უხ-  
 სენებელსა და სახიერსა მას  
 ვევედრებოდით და მას ვა-  
 დიდებდეთ ვაქებდეთ და ვა-  
 კურთხევდეთ, რამეთუ მისი არს  
 სუფევაჲ ძალი და დიდებაჲ  
 და მისა შუენის პატივი  
 და თაყუანისცემაჲ თანა  
 დაუსაბამოდთ მამით  
 და ყოვლად წმიდით სახიერით და  
 ცხოველს მყოფელით სუ-  
 ლითურთ აწდა მარადის და  
 უკუნითი უკუნისამღშ ამინ.  
 ამისთვის ჯერ არს საყუა-  
 რელნო პატიოსანო მამანო  
 და ძმანო რაიცა რომელსა პირს  
 იქმნნეთ მოგებად გინა  
 აღწერად წმიდასა ამას წმი-  
 დათასა ცათა და ქუეყანისა  
 უზეშთაესსა წიგნსა, რომელ-  
 სა წიგნ ეწოდების, არამედ  
 არა არს ესე ვითა სხუანი  
 წიგნნი ლიტონად წიგნად  
 სახელ დებული და  
 ეწოდების ამას სახა-  
 რება, რომელ არათუ სხუად  
 რამე არს სახარებაჲ, არამედ

პირი არს ღუთისაჲ, ჭკუშმარიტად,  
 პირი არს ღუთისაჲ, რომელი მე-  
 ტყუელებს ვითა ჭკუშმარიტად პი-  
 რი ღუთისაჲ და მოგვიოხრობს  
 და გუახარებს პირისა-  
 გან ღუთისა გამოსრულ-  
 თა ბრძანებათა და ჭკუშმა-  
 რიტთა და უტყუელთა  
 აღთქმათა მისთა ჳ-  
 სნისა და ცხოვრებისა  
 ნუენისათა, რომელმან თქუა ცათა  
 და ქუეყანისა წარსლვად,  
 ხოლო სიტყუათა თვისთა არა  
 წარსლვად არამედ გეზად . . .  
**რ**აიცა დიდითა კრძალვითა  
 და გულს მოდგინებითა  
 და სარწმუნოებითა და შიშითა  
 ღუთისაჲთა მოვიგე-  
 ბდეთ და დიდად პატივ-  
 ესცემდეთ . . . . .  
 'ხეშთაეს არს ღმერთი და-  
 ბადებულთა ეგრეთ-  
 ეჲ ესეცა . . . . უ'ხეშ-  
 თაეს არს . . . . .  
 და ვითარცა უჯერო არს  
 ღუთისაჲ დაბადებულთა  
 თანა შერაცხვად ეგ-

რეთცა წმიდასა სახარება-  
სა სხუათა წიგნთა  
სწორად შერაცხვად, რომელ  
საღთონი წიგნნი და ღმ-  
რთივ სულიერნი ყოველნი-  
ვე სახარებისა მიერ  
ცხოველ არიან, ვითარცა  
წერილ არს ვითარად მართა-  
ლი სარწმუნოებითა ცხო-  
ვნდეს და რასაცა სარწმ-  
უნოებით პატივ ვსცემ-  
დეთ ბრძანებათა უფლისა-  
თა, რომელმან თქუა სარწმუ-  
ნობამან შენმან გაცხოუ-  
ნა შენ, ვიდოდე მშვიდობით  
და ყოველთა მორწმუნეთა მო-  
შიშთა მისთა მოგანიტკენ  
მან სახიერმან და კაცთმო-  
ყუარემან ღმერთმან სარწმუნო-  
ებისაებრ თქუენისა მო-  
უგონებელნი ნიჭნი და  
კეთილნი მისნი საუკუ-  
ნოდ და უკუნითი  
უკუნისამდე, ამინ.

**ხოლო** მე სულიერთა და საღვთოთა  
მადლთაგან გლახაკი და მრ-  
ვალთა ცოდვითაგან დეღუა

გუემული და უდებებით და  
 დახსნილობით ფრიად საარებუ-  
 ლი, ამაღ უფსკრულთა ღვთისა  
 მოწყალებისათა მინდობილი  
 და არა სასოწარკვეთილი,  
 სახელით ოდენ და არა საქმით  
 მონაზონი ბასილი თორეღყო-  
 ფილი ღირს ვიქმენ აღწე-  
 რად და განსრულებად **წმიდა ამას**  
**ოთხოვსა სახარებასა გან-**  
**წმედისა ახლად და მართაღსა**  
**და უფროს მზისა ბრწყინ-**

**ვალესა წმიდისა მამისა ჩუენისა მიერ გიორგი**  
**მთაწმიდელისა, რომელსა შინა არა არს ერთიცა**  
**ასომ მრუდი და ნაკლული და არცა მეტი,**

დაღაცათუ ნაშრომი უნდ-  
 ოდ აჩუენებს მწერლობი-  
 საგან უმეცრებისა ჩემისა მიერ.

**ხოლო ჩამიწერია საძიებელი წე-**  
**ლიწადისა სახარებათაჲ სვი-**  
**ნაქსართურთ დღეჲ დაუკ-**  
**ლებელად წესსა ზედა ბერძუ-**  
**ღსა და აწ უკუე სა**

ცნაურ იყავნ თქუენდა, რომელნი

. . . . . იკითხვიდეთ

. . . . .

. . . არს ბერძულად გან-

წესებულ მოძღუარ-  
 თა მიერ, ვითა შუუგვანდ-  
 ეს თითოეულსა სა-  
 ხარებასა. თავი ეგრეთ  
 აღიღებენ და აწ ყოველნი  
 განგებულებით მიხენია  
 თავები სახარებისად ვი-  
 თა აღიღების საძიე-  
 ელსა შინა ჰპოოთ და  
 . . . . . საძიებელსა ე-  
 წეროს ზეპირით თავ-  
 . . . ეგრეთ აღიღებით თი-  
 თოეულისა სახარებისასა,  
 . . . მერმე სახარებასა შუუ-  
 დგენდით რომელ მოგეძიოს.  
**და** ესრეთ აღიღების თა-  
 ვები გინათუ მას ჟამსა  
 . . . გინათუ თქუა უფალმან  
 გინათუ ჰთქუა უფალმან თვისთა  
 მოწაფეთა, გინათუ თქუა უფალმან  
 იგავი ესე, გინათუ ჰთქუა  
 უფალმან მოსრულთა მათ მისა  
 ჰურიათა, ესრეთ აღიღებ-  
 ვის თავები **და** რომელიმე  
 სახარებათაგანი ვითა ე-  
 წეროს ეგრე ითქუ-  
 მის ღიჭონად



და დაენიშნე თავ ბო-  
 ლოები სახარებათად  
 ოთხთავსა შინა სინგუ-  
 რითა. თავებსა სახა-  
 რებათასა ესე არს ნიშანი  
 და ბოლოსა დასასრ-  
 ულთა ესე არს ორ-  
 ნი ჯვარნი მიდამო  
 + ესრე სახედ + მიდამო დასას-  
 დაიწერა ხელითა ცოდ- რულსა ორნი  
 ვილისა ბასილის თო- ჯვარნი წური-  
 რელ ყოფილისადთა ღნი სადაგნი  
 სანახებსა ასურეთი- სინგურითა  
 სასა დიდებულისა ქაღაქისა  
 დიდისა ანტიოქიისასა, მო-  
 ნასტერსა წარჩინებულისა  
 დიდისა კალიპოლისასა,  
 სადიდებელსა ყოვლად წმიდისა  
 ღმრთის მშობელისასა სა-  
 კვიდრებელსა და ნავთ-  
 საყუდელსა ქართვე-  
 ლთასა სოხასტერსა  
 შინა მონასტრისა აღმო-  
 სავალით სადიდებელსა  
 წმიდათასს მთავარ ანგელოზთასა.  
 და აწ გვედრები ყოველ-

თა ღრმთის მოყვარეთა,  
 რომელნიცა განათლებულ  
 ხართ წმიდისა ამის სახა-  
 რებისა ბრწყინვალები-  
 თა მორწმუნეთა და წმიდათა  
 მამათა და ქრისტეს მიერ ძმა-  
 თა, რომელნი მოელთ მიმთ-  
 ხუევად საუკუნოთა  
 მათ კეთილთა ჳსენებ-  
 ულ გუყვებით წმიდათა  
 შინა ღოცვათა თქუენთა.

**მე** გლახაკი ბასილი  
 ამის წმიდისა სახარებისა დამ-  
 წერი . . . . და მშობელნი  
 . . . . . ჩემნი  
 . . . . . ჩემნი სულიერნი  
 ა ხორციელნი. . . . . , . .  
 . . . . . კეთილად . . . . .  
 . . . . . მიცვალებულ-  
 თა და მიცვალებადთა  
 (საიდუმლოთა მცნებითა  
 და მარხვითა სიყუარუ-  
 ლით და ნუგეშინისცემ. .  
 . . . . . იგინიცა  
 . . . . .  
 მო . . . . .  
 თვის საუკუნოსმცა

არს კურთხეულ და სა-  
 ცხენებელი მათი თანა და-  
 იწერების სახელები მათი,  
 რომელთა ჩუენ მოგვიცხსენენ  
 წიგნსა მას ცხოველთასა  
 და მიმცა ეცემიან ნეტარება  
 სულთა მათთა დაუსრულებუ-  
 ლნი იგი კეთილნი, რომელი თუალ-  
 მან არა იხილა და ყურთა ა-  
 რა ესმა და გულსა კაცისა-  
 სა . . . . არა მოუკდა, რომელი  
 განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა  
 სახელისა მისისათა ივინი-  
 მცა დგომითა არიან მარჯვე-  
 ნით წინაშე უფლისა თვის  
 დაუღამებულსა მას დღესა  
 მოსდვისა მისისათა.

დადგინებულადცა არიან ყოველთა  
 წმიდათა თანამომხსენებელნი ჩემნი,  
**ხოლო** ოდეს აღიწერა წმიდა სახარება  
 ქრონიკონი იყო მაშინ

სპ

## მოკლე მახვილბონივრული ამბავი

ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში მრავალი საინტერესო ხელნაწერი წიგნია დაცული. ნაწილი წიგნებისა დღეისათვის შეუსწავლელია და არ არის შესული სამეცნიერო ბრუნვაში. ეს ძალზედ დასანანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი მათგანის მეცნიერული ღირებულება ფასდაუდებელია არა მარტო საქართველოს ისტორიისა და კულტურული წარსულის შესასწავლად, არამედ მეზობელი და მახლობელი ქვეყნების კულტურის ისტორიის შესწავლისთვისაც, მე-10 საუკუნიდან დაწყებული მე-19 საუკუნის ჩათვლით ინტერესს იწვევს მუზეუმში დაცული ხელნაწერი წიგნი N217, რომელიც წინამდებარე თემის კვლევის საგანს წარმოადგენს.

ხელნაწერი N217 მეტად მრავალფეროვანია თავისი სტრუქტურით. მასში მოკლე მახვილბონივრული ამბების გარდა, წარმოდგენილია ტექსტები, რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან ცნობებს მეცნიერების ისეთი დარგებიდან, როგორიცაა: ფილოსოფია, თეოლოგია, ისტორია, ეთიკა, ასტრონომია და სხვა.

ხელნაწერი N217 ზომით 20X17 სმ-ია; ქაღალდი, რომელზედაც ტექსტია დაწერილი თავდაპირველად თეთრი უნდა ყოფილიყო, ამაზე მეტყველებს ხმარებისაგან თუ სიძველისაგან უკვე საკმაოდ გაყვითლუ-

ბულ ფურცლებს შორის ზოგიერთი გვერდის განსაკუთრებული სითეთრე. წიგნის ხშირი ხმარებისაგან ფურცლების ქვედა მარჯვენა კუთხეები საკმაოდ მუქი ლაქებითაა დაფარული. ტექსტს გადამწერის მიერ გაკეთებული აქვს ფურცლობრივი ნუმერაცია არაბული ციფრებით. ნუმერაცია 69-ე ფურცლის შემდეგ წყდება, ეს მაშინ, როცა ხელნაწერი სულ 118 ფურცელს შეიცავს. ხელნაწერის პირველი გვერდი დანომრილია ციფრით – 3. დაკარგულია ხელნაწერის მე-19 ფურცელი. ტექსტი დაწერილია წერილი მხედრული ხელით. გვერდებს შორის სტრიქონთა რაოდენობა უმრავლესად 17–18-მდე ცვალებადობს; წიგნში გაერთიანებულია სხვადასხვა დასათაურების „ამბავი“. სათაურები შესრულებულია სინგურით. თითოეულ ტექსტში შემავალი „ამბავი“ დანომრილია არაბული ციფრებით. ხელნაწერის ტექსტი მთავრდება მინაწერით: „სრულ იქმნა სადიდებლად ღმრთისა ყოვლისა შემოქმედისა და ყოვლისა მპყრობელისა, უფლისა ყოველთა ძალთასა“<sup>1</sup> და ბოლოს სინგურით „დასრულდა“. სათაურის, შემდგენელის ან დაწერის თარიღის აღმნიშვნელი რაიმე ნიშანი წიგნს არ გააჩნია. მე-5 ფურცელზე წარმოდგენილი ტექსტის სტრიქონთა ნაწილი ძალიან ძნელად იკითხება. ნაწილის წაკითხვა კი სავსებით შეუძლებელია. ხელნაწერის 116-ე ფურცლის მეორე გვერდი თავდაპირველად თავისუფალი ყოფილა და ამჟამად ჩვენ-

<sup>1</sup> ტექსტი აქ და შემდგომც კველგან მოგვეყავს ქარაგმების გახსნით, ხოლო პუნქტუაციას უცვლელად ვტოვებთ.

თვის დაუდგენელ პირს იგი საკუთარი კალიგრაფიის სახეულებლად გამოუყენებია. რამდენჯერმე მეორდება ქართულად და რუსულად ცნობილი სარაინდო-საფალავნო უანრის ნაწარმოების სათაური – „ყარამანიანი“. შემდეგ იმავე პირს რაღაცის დაწერა უცდია და ისევე მოუშლია, თუმცა ზოგიერთი სიტყვების ამოკითხვა მაინც ხერხდება: „წიგნი ესე მოკლე მახვილგონიერულნი: არის ას ოცდა ორი ფურცელი ესეიგი“... და აქ მინაწერი წყდება. გამორიცხული არ არის იგი მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ხელნაწერი წიგნი თავდაპირველად 122 ფურცელი იყო, მაგრამ იმავე გვერდზე იმავე მელნით, ოღონდ უკვე რუსულად არის მინაწერი „118 листов“, რაც ემთხვევა მუხეუმში შემოსვლის დროისათვის ხელნაწერში ფურცელთა რაოდენობას. აქვეა მინაწერი: „წმინდაო ღმერთო, წმინდაო მრწე, წმიდაო“, და შემდეგ ისევე „ყარამანიანი“. ასევე ხელნაწერის ხარხევის მეორე ფურცელზე რამდენჯერმე მეორდება რუსულად და ქართულად „ასდათურამეტი ფურცელი“. იმავე ფურცლის მეორე გვერდზე რუსულ ენაზე კითხულობთ: „Из книг князя Симона Абашидзе“, და შემდეგ ქართულად „თავადის სვიმონ აბაშიძის წიგნთაგანი“, რაც ცხადია, მიუთითებს იმაზე, რომ ხელნაწერი წიგნი თავად სვიმონ აბაშიძეს ეკუთვნოდა.

ხელნაწერი ჩახუელი არის მუქყავისფერ ტყავადაკრულ ხის ყდაში. ყდა ნაწილობრივ დაზიანებულია. ყდის შიგნითა ზედა გვერდზე არის წარწერა რუსულ ენაზე. აქვეა მინაწერი: „Из книг князя Симона

Абашидзе“ „...ორმოცდაათი მარცვალი არის ქარვის კრო-  
ალოსანი თავიანთ მეორე კრიალოსანი არის ოცდარ-  
ვა მარცვალი თავიანთ“. აღნიშნული მინაწერი შედარებით ახალია და მას არავითარი შინაარსობრივი ან დანიშნულებითი კავშირი არა აქვს ხელნაწერის ტექსტთან. მინაწერები გვხვდება აგრეთვე ხელნაწერის ყდის ბოლო გვერდის შიგნითა მხარეზე. აქვეა მარტოვი არითმეტიკული გაანგარიშებანი, რომელთაც ასევე კავშირი არ უნდა ჰქონდეთ ხელნაწერის ტექსტთან.

ხელნაწერს დართული აქვს სარჩევი ორ ფურცელზე, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სხვადასხვა მიზეზთა გამო.

1. სარჩევი დანომრილია არაბული ციფრებით 1 და 2. საფიქრებელია, რომ იგი ხელნაწერს თავში ჰქონდა დართული; ამ მოსაზრებას ისიც ამტკიცებს, რომ სარჩევის მეორე ფურცლის წინა გვერზე ქვედა მარჯვენა ბოლოში არის მინაწერი სინგურით „მოკლე მახვილ“, რაც ხელნაწერის მომდევნო გვერდზე დაწყებული ტექსტის სათაურს უნდა მიუთითებდეს. სწორედ მესამე გვერდზე იწყება კიდევ ხელნაწერის პირველი ტექსტი სათაურით „მოკლე მახვილ გონივრულნი ამბავნი“. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერისათვის ისევე, როგორც უმრავლეს ხელნაწერთათვის. დამახასიათებელია ერთ გვერდზე დამთავრებული ტექსტის ბოლოს ცალკე სტრიქონზე მინიშნებულ იქნას მომდევნო გვერდზე დაწყებული ტექსტის წინა სიტყვა, ან მარცვალი მაინც. ესე იგი წიგნი გარდა

არაბული გადანომერისა პაგინირებულია კესტოსით. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობ, საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ სარჩევი ხელნაწერის პირველ ორ გვერდს წარმოადგენს.

2. სარჩევში ოცდაოთხი დასახელების ტექსტია მითითებული. უკვე სათაურების მიხედვით, ხელნაწერის ტექსტს კიდევ რომ არ ვიყოს გაცნობილი, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელნაწერის სხვადასხვა დასახელების ტექსტობრივი მასალა განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც შინაარსობრივი მხარით, ასევე მიზანდასახულობითაც. ამდენად ვერ დავეუთანხმებით ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის შემდგენელს ევ.ნიკოლაძეს, რომელსაც აღწერილობის წიგნში მიუთითებია: „მოკლე მახვილ გონივრული ამბავნი 3რ - 114რ“. მართალია, წიგნის საერთო სათაური ამჟამად ცნობილი არ არის და აღწერილობის შემდგენელს აღბათ უფლება ჰქონდა პირობითად წიგნის სათაური, თუნდაც ხელნაწერში მოცემული პირველი ტექსტის მიხედვით მიენიშნებინა, მაგრამ აღწერილობაშივე რომ აღენიშნა: მოკლე მახვილ გონივრული ამბავნი 3რ - 114რ -ს მოიცავსო, ამის საშუალებას თვით ტექსტების მიზნობრივ სხვადასხვაობას რომ თავი დავანებოთ, ხელნაწერის სარჩევი არ იძლევა, სადაც საკმაოდ ნათლად არის დაფიქსირებული პირველი ტექსტის არა მარტო სათაური, არამედ იმ ამბავთა რაოდენობაც, რომლებიც აღნიშნული სათაურის ქვეშ იგულისხმება. სარჩევში ვკითხულობთ: „მოკლე მახვილ გონივრული ამბავნი,



რომელთაცა შეადგენენ 324 პარაღრაფნი, რომელთაცა შინა იპყრობიან, ფრიად უსიამოვნესი და ღირსსახსოვარნი მოთხრობანი, ხოლო რომელნიმუ მათგანნი არიან მკუეპთრგონიერულნი წარმოთქმანი, ძველთა საბერძნეთის ფილოსოფოსთანი“.

როგორც სარჩევში არის მითითებული, „მოკლე მახვილ გონიერულნი ამბავნი“ 324 პარაგრაფს შეიცავს; ხელნაწერში 324-ე პარაგრაფი მთავრდება 70v-ზე და არა 114r -ზე. იქვე იმავე 70 v-ზე სინგურით იწყება უკვე სარჩევში მითითებული სხვა დასათაურება: „სხუა და სხუა გუარნი ხუმრობანი“.

3. ხელნაწერის სარჩევში მითითებული გვერდები არ ემთხვევა სინამდვილეში ტექსტის ადგილს მოცემულ წიგნში. ასე მაგალითად: „სხუა და სხუა გუარნი ხუმრობანი“ მითითებულია 111 გვერდზე, ხელნაწერში კი 70 v-ზეა; ასევე „სხუა და სხუად სააზრნი წინადადებანი“ მითითებულია 112-ე გვერდზე, ხელნაწერში კი 71 v-ზეა. არცერთი ტექსტი ხელნაწერისა არ იწყება იმ გვერდზე, რომელზედაც იგი მითითებულია სარჩევში, უფრო მეტიც; ხელნაწერი სულ 118 ფურცელს შეიცავს, მაშინ, როდესაც სარჩევის მიხედვით ხელნაწერის ბოლო ტექსტი „განმარტება კაცთა სახელებისა“ 184-ე ფურცელზეა მითითებული, ხვენს სინამდვილეში კი იგი 114 -ზე იწყება. უემოთქმული საკმაო საბაბს გვაძლევს იმისათვის, რომ დავასკვნათ: მუხეუმის ხელნაწერი N217 არ არის დედანი, იგი გადაწერილია სხვა წყაროდან, რომელიც ალბათ 184 ფურცელზე მეტს

ითვლიდა, ამაზე მიგვანიშნებს ის, რომ სარჩევის მიხედვით ხელნაწერის ბოლო ტექსტი 184-ე ფურცელზე უნდა იწყებოდეს. აღნიშნულიდან სჩანს – გადამწერს თავიდან განუზრახავს დედნის მთლიანად გადაწერა. ამაზე მიუთითებს სარჩევი, მაგრამ შემდეგ, რაღაც მიზეზების გამო, დედანში წარმოდგენილ მასალას უკვე შერჩევით მოჰკიდებია და სხვადასხვა ტექსტიდან მხოლოდ მისთვის განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი ამბები გადმოუღია. ვფიქრობთ, სწორედ ამან გამოიწვია სარჩევისა და ტექსტის შორის ზემოაღნიშნული განსხვავება. შეიძლება ამ განსხვავების სხვა მიზეზიც არსებობდეს. კერძოდ: დედანი, რომლიდანაც გადაწერილია აღნიშნული ხელნაწერი, მცირე ფორმატისა უნდა ყოფილიყო და ამდენად ჩვენს ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტის დასატევად ფურცლების მეტი რაოდენობა დასჭირდებოდა. გადამწერმა ამას თავიდან, ალბათ ყურადღება არ მიაქცია; პირველად გადაწერა სარჩევი, ვფიქრობთ სარჩევი დედანსაც წინ უნდა ჰქონოდა დართული და ტექსტის დამთავრების შემდეგ ან ვერ შეამჩნია სარჩევისა და ხელნაწერის ნუმერაციას შორის განსხვავება, ან შეამჩნია და რაღაც მოსაზრებით უცვლელად დატოვა იგი.

სარჩევი და თვით ხელნაწერში გაერთიანებული ამბები მკვეთრად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ხელნაწერი შედგენილია და რომ შემდგენელს წიგნში წარმოდგენილი ამბები სხვადასხვა წყაროებიდან ამოუკრებია. კერძოდ, ხელნაწერში წარმოდგენილია: „...მკუშთრგო-



ნიერულნი წარმოთქმანი, ძველთა საბერძნეთის ფილოსოფოსთანი“, „ხნეთა მსწავლეებითნი განსრაბუანი, გარდამოცემულნი კანცლერისა მიერ, დრაფის ოქსერტირნისა, რომელნიცა შეიცავენ თვის შორის, ფრიად სასარგებლოთა მოძღრუებათა, ანუ მსწავლათა“, „გარდამოცემულობანი განა უმა საღმრთო წერილისა“ „ახრი ეპივტიტე ფილოსოფოსისა, სიკუდილისათვის“ და სხვა.

ხელნაწერი აღმწერელს XIX საუკუნისათვის მიუკუთვნებია. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო რუსეთს შეუერთდა. ცარიზმი თავისი პოლიტიკის განხორციელების გზაზე ბრძოლას უცხადებდა ყველაფერს ეროვნულს. „საჭირო შეიქმნა ეროვნული ფიზიონომიისა და რაობის გარკვევა: აქედან წარმოიშვა საქართველოს წარსულის გათვალისწინების აუცილებლობის შეგნება. მეორე მხრივ წარმოიშვა შეგნება იმისა, რომ შექმნილ პოლიტიკურ პირობებში, შესაძლებელია ახლო მისვლა ევროპის ცხოვრებასა და კულტურასთან, რისთვისაც საჭიროა ევროპული ცოდნის – მეცნიერებისა და განათლების შეთვისება“<sup>1</sup>.

ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი თავისი შინაარსით პასუხია ამ უკანასკნელზე. იგი იმ პერიოდისათვის ეროვნულ სკოლასა და საგანმანათლებლო ცენტრებს მოკლებულ მკითხველს აძლევს საჭირო ცნობებს ევროპული მეცნიერების უმრავლესი დარგების შესახებ

<sup>1</sup> კ.კ.კელიძე, აღზარამიძე, წინასიტყვაობა. „კალმასობა“, ტ. 1. 1936, გვ. 4. 104.

და ამასთან ერთად, ერთის მხრივ, მწვავე სატირით კიცხავს ადამიანთა ცხოვრებისეულ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, მეორეს მხრივ კი ეთიკის მისაღებ ნორმებს სთავაზობს მათ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ხელნაწერი აღმწერელს მე-19 საუკუნისთვის მიუკუთვნებია. ხვეწ ვფიქრობთ, რომ თვით დედანი, რომლიდანაც ეს ხელნაწერია გადაწერილი უფრო ადრინდელი პერიოდისა უნდა იყოს, კერძოდ მე-18 საუკუნის მიწურულის. ამასუ მიგვანიშნებს თვით ხელნაწერის ტექსტი, სადაც „უწინებულესი პოენილებანი, რომელისამე ჟამიდგან ევროპასა შინა ქმნილნი“ სათაურის მქონე ტექსტში 103r ვკითხულობთ: „პროფესორმა ვიდერბუდმა, პირველად გამოაჩინა ილეკტროს ძალი ჩრდილოეთის ბრწყინვალეებასა შინა: 1769-სა წელსა“. მითითებული სათაურის ქვეშ გაერთიანებულ ტექსტში ვრცლად არის აღწერილი ევროპისა და საერთოდ მსოფლიო მეცნიერების მნიშვნელოვანი გამოგონებები და აღმოჩენები. ტექსტის მიხედვით 1769 წელი ეს არის თარიღი, რომელსაც აღმოჩენათა დასახელება ვერ აშორდა და ამდენად უნდა ვიფიქროთ, რომ ხელნაწერის ავტორისათვის უცნობი იყო მსოფლიოს ქვეყანათა შემდგომი აღმოჩენები მეცნიერების დარგში, მხედველობაში მაქვს; ჟანგბადის აღმოჩენა (1768–1774 წწ. კ.შველე და ჯ.პრისტლი), ორმაგი მოქმედების უნივერსალური ორთქლის მანქანის აგება (1784 წ. ჯ.უატი), პავაის კუნძულების აღმოჩენა (1778 წ. ჯ.კუკი), ხინათლის ინტერპუ-

რენციის მოვლენის გამოკვლევა (1800 წ. ტ. იუნგი) და სხვა, რომელთა შესახებაც მე-19 საუკუნეში მცხოვრებ პირს და ისიც ასეთი ხელნაწერის შემდგენელს აუცილებლად ეცოდინებოდა. ამასთან ერთად ხელნაწერში „დროს განყოფისათვის, სხუა და სხუა ეპოხად და სხუანი“ სათაურის შემცველ ტექსტში ვკითხულობთ რუსეთის სახელმწიფოს შესახებ ცნობებს 840 წლიდან მოყოლებული პეტრე დიდის გარდაცვალებამდე – 1723 წლამდე<sup>1</sup>. აღნიშნულ ტექსტში ზოგჯერ ყურადღება გამახვილებულია რუსეთის ცხოვრების სრულიად უმნიშვნელო მომენტებზე და თუკი ჩავთვლით, რომ ხელნაწერის დედანიც მე-19 საუკუნეშია დაწერილი, ყოველად შეუძლებელია მის შემდგენელს არ სცოდნოდა რუსეთის სახელმწიფოს შემდგომი პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. მითუმეტეს, რომ მე-18 ს-ის მიწურული და მე-19 საუკუნის დასაწყისი მნიშვნელოვანი მომენტებით აღინიშნა რუსეთის სახელმწიფოსათვის. მხედველობაში მაქვს: რუსეთ-თურქეთის ომი, სუვოროვის ლაშქრობა, 1812 წლის სამამულო ომი, საქართველოს რუსეთთან შეერთება და სხვა.

ყოველივე აღნიშნულს შეიძლება ისიც დაემატოს, რომ მეფის რუსეთის მმართველობა ერთბაშად როდი დამყარდა საქართველოში. თავისი პოლიტიკის განხორციელების გზაზე იგი დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის მხრიდან. ცარიზმის ბიუროკრატი მოხელეები და

<sup>1</sup> ცნობილია, რომ პეტრე დიდი 1725 წ. გარდაიცვალა.

საკმისმწარმოებელი ჩინოვნიკები სულს უმწარებდნენ ქართველ გლეხობას. ცარიზმის ხელისუფალთა ასეთ მოქმედებას არ შეიძლებოდა შესაბამისი ასახვა არ ეპოვა ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. დღეს ჩვენთვის ცნობილია უამრავი ხალხური ლექსი, თუ სატირული გამონათქვამი, სადაც თავლაფდასხმული, მიწასთან გასწორებული არიან ხალხის შემაწუხებელი ბიუროკრატი მოხელენი. მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერში, განსაკუთრებით მის პირველ ტექსტში „მოკლე მახვილ გონივრულ ამბებში“ საკმაოდაა წარმოდგენილი სატირისა და იუმორის შემცველი ამბები: მეფეებზე, მოსამართლეებზე, მდივან-ბეგებზე და საერთოდ იმათზე, ვინც ჩაგრავდა და ავიწროებდა მშრომელ გლეხობას, ამ მხრივ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი ერთი ამბავიც კი არ არის წარმოდგენილი, აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ხალხთა ურთიერთობის დროს ამა თუ იმ ქვეყნის ენაში ხშირად იჭრება სხვა ქვეყნის ხალხთა ენის გამოთქმები, სახელთა თუ მოქმედების აღნიშვნები. ამ მხრივ თუკი იოანე ბატონიშვილის „კალმასობაც“ კი ვერ გადაურჩა რუსიციზმებს, ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი წიგნი დაწერილია სუფთა ქართული ენით, თავისუფალია ყოველგვარი რუსიციზმისაგან, ტექსტში ხშირად გვხვდება ქარაგმები და ხმარებიდან გამოსული ბგერები, მათ შორის ყველაზე მეტად უ(უბრჯავუ). ცნობილია, რომ უმარცველო უ-ს მარცველიანობისაგან განმასხვავებელი ნიშანი ანტონ პირველმა შემოიღო.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თავისი დროის ცოცხალი მეტყველების უშუალო გავლენა, წარმოთქმის ადეკვატური გამოხატულება აძლევდა საშუალებას უ-ს ფართოდ ხმარებას, რასაც საშუალო ქართულის ძეგლებში, მეტადრე XVII-XVIII სს. ტექსტებში ვხვდებით<sup>1</sup>, ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიმანიშნებელია იმაზე, რომ დედანი ხელნაწერისა XVIII ს-ის მიწურულს ეკუთვნის.

ხელნაწერის ტექსტების შესწავლის დროს, გამოირკვა, რომ ტექსტის ის ნაწილი, რომელიც გაერთიანებულია „ღირსსახსოვარნი სიტყუანი“ სათაურით ენათესავება იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ტექსტის ნაწილს სათაურით: „ოთხი შეუძლებელი საქმე“, „მეგობრისთვის“, „სიცოცხლის ხანგრძლიუობა“. ტექსტების შესადარებლად „კალმასობის“ 1936 წლის გამოცემა გამოვიყენეთ. მართალია, როგორც წიგნის წინასიტყვაობაში გამომცემელი აღნიშნავენ ტექსტი ნაწილობრივ შეცვლილია, მაგრამ რადგან ეს ცვლილება ჩვენს მიერ შესადარებლად გამოყენებულ ნაწილს არ განუცდია, ამდენად იგი იძლევა საშუალებას ზემოაღნიშნულის გასარკვევად. ხელნაწერში 72r-ზე ვკითხულობთ: „უკეთუ ვინმე, ოცი წლისა დაბადებიდგან, არა იყოს ღამაზი, ოცდაათისა ღონიერი, ორმოცისა ვონიერი, ორმოცდაათისა მდიდარი, სამოცისა ღმრთისმოყვარე, იგი არღარა თანამდებ არს მლოდებად, ამ თვი-

<sup>1</sup> ივ. ჯავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, 1964, გვ. 86-90.

სებათ მიღებისა“. შესაბამისად „კალმასობაში“ 224 გვერდზე – „ამას უკეთუ ვინმე შობითგან ოცწლამდის ხახით არის დუხჭირი, ანუ უშვერი, ოცდაათ წლამდის უღონო, ორმოცდაათ წლამდის უგუნური, სამოცდაათ წლამდის უღმრთო, ამათი წესსა შინა მოყვანება შეუძლებელი არს“, ან კიდევ ხელნაწერში იმავე გვერდზე – „სამნი ნიუთნი არიან ფრიად საძაგელნი, ღმრთისა და კაცისანი, გლახაკი ამპარტავეანი, მდიდარი ძუნწი და ცრუდ, მოხუცებული მემრუშე“. შესაბამისად „კალმასობაში“ იმავე გვერდზე – „სამი ნიუთნი ღუთისა და კაცთათვის არა არს სათნო: გლახაკისა ამპარტაუნობა, მდიდრის სიწუწუკე და ცრუობა, ხილო მოხუცებულის მეძაობა“. მაგალითის მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ აღნიშნული საკმარისია დავასკვნათ, რომ ტექსტები ერთმანეთს ენათესავენ. მაგრამ, რომელია პირვანდელი „კალმასობაში“ მოტანილი ტექსტი, თუ ჩვენს ხელნაწერში წარმოდგენილი? ამ კითხვას, ჩვენი აზრით, ასეთი პასუხი შეიძლება გაეცეს: ტექსტების შედარების დროს ხელნაწერში იმავე სათაურის ქვეშ და იმავე 73r-v არის კიდევ სამი იმავე ხასიათის ამბავი, რომელიც შედარების დროს „კალმასობაში“ არ აღმოჩნდა. ესენია: 1. „ოთხი ნიუთნი არიან უკუმოუქცველნი, ანუ დაუბრუნებელნი, სიყმაწვილუ, დროდ, ნათქუამი სიტყუა და ქაღწულობა“; 2. „ოთხნი ნიუთნი ეშესაბამებიან მწუალებელთა, კეთილთა კაცთა დაქცევად, ღარიბთა სიძულილი, ბოროტთა ამაღლება და ძველისა დათრგუნუა“; 3. „ნიშანნი ზუავისა კაცისანი,



ამპარტაუნებისა და მძვინვარებისა არს იგი ძუ პირსა ზედა ჰქონან მას ნიადაგ, მუქარა და წყინებანი, ბრუდე შეხედვა, შეკრული და ჩამოფხატული წარბები“. ასევე „კალმასობაში“ შესადარებელ ტექსტში იმავე 224-ე გვერზე ვკითხულობთ ამბავს, რომლის შესახებაც ხელნაწერში არაფერია ნათქვამი: „სამი ნიუთი ცუდად იქნების ხმარებულ მაშინ, უკეთუ შეხედეს ესე ვითარად: ჩიტი ხელსა შინა ემაწვილისასა, ემაწვილი მუსაიბად მოხუცებულისა სულმოკლესადმი და მეგობრობა უგუნურისადმი“. აღნიშნულის შემდეგ, ცხადია, ტექსტის პირველადობის საკითხი უნდა მოიხსნას, ეს მით უფრო შესაძლებელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ „კალმასობის“ მოქმედი პირების იოანესა და სოლომონის საუბარს, რომელიც წინ უძღვის ჩვენთვის საინტერესო ტექსტობრივ მასალას. საუბარში იოანე თავისი აზრი, რომ უფრო დამაჯერებელი გახადოს, ამბობს: „შეუძლებელია როგორათაც რომ სწერენ ფილოსოფოსნი ოთხსა რასმე იმსახედ“-ო და იწყებს იმ აბავთა ჩამოთვლას, რომელთა შესახებაც ჩვენ ზემოთ გვექონდა საუბარი.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან სავარაუდოა, რომ იოანე ბატონიშვილსა და ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერის შემდგენელს ერთი და იგივე წყაროებიდან აქვთ ნასარგებლები, კერძოდ ფილოსოფოსთა გამონათქვამებიდან და ერთნაირი შინაარსის ტექსტებში სიტყვების ცვალებადობა, ჩვენის აზრით, განპირობებულია იმით, რომ მათ უშუალოდ კი არ გადმოიღეს წყაროდან მათ-

თვის საინტერესო ამბები, არამედ შინაარსის შენარჩუნებით, სხვადასხვა ინტერპრეტაციით წარმოადგინეს ისინი საკუთარ ტექსტებში. ან შესაძლებელია წყარო, რომლითაც მათ ისარგებლეს, არაქართული იყო. ამ შემთხვევაში, ცხადია, ორი სხვადასხვა პირის მიერ ნათარგმნი მასალა არ შეიძლება სიტყვა-სიტყვით ერთხეოდეს ერთმანეთს, ამას თავის მხრივ ისიც უწყობს ხელს, რომ ქართული ენა მდიდარია ერთნაირი მნიშვნელობის შემცველი სიტყვებით – სინონიმებით და ამდენად სხვადასხვა პირის მიერ ნათარგმნი ტექსტი წარმოგვიდგება ერთნაირი შინაარსით, მხოლოდ ამ შინაარსების ფრაზეოლოგიური შემკულობა, ეჭვგარეშეა, ყოველთვის სხვადასხვაგვარი იქნება.

ტექსტის შესწავლის დროს გამოირკვა აგრეთვე, რომ ხელნაწერის პირველ ტექსტში „მოკლე მახვილ გონივრულ ამბებში“ 160 ნომრით 30ა-ზე მოთხრობილია ამბავი, რომელიც მკვეთრად ენათესავება სულხან-საბა ორბელიანის თხზულების – „სიბრძნე სიცრუისა“, არაკს „ძალა ერთობისა“. მოვიტან ხელნაწერში წარმოდგენილ ტექსტს: „მოხუცებულსა ვისმე ესხნენ მრავალნი ძენი და მიწურა იგი სიკუდილად, მოუწოდა მათ წინაშე თვისა და მისცა ყოველსა მათგანსა თვითო კონა ნედლი წკებლად და ჰკითხა შევიძლიათო მაგათი გარდამტვრევა, ერთის მოწვევითაო და ვინაიდგან მათ უარყვეს ესე და უთხრეს შეუძლებელი არისო, მაშინ ამცნო მამამან მათმან ესრეთ, ამისგან მსცანით შეიღნო ჩემნო, რომელ უკეთუ იცხოვრებთ



ურთიერთთა შორის ერთ სულად და თანხმობით მაშინ იქნებით ბედნიერნი და საშიშნი მტერთა თქვენთათვის და უკეთუ იცხოვრებთ უთანხმოებით, მაშინ დასუსტდებით და დაგიმონებენო იგინი“. პარალელურად სულხან-საბა ორბელიანის თხზულებაში ვკითხულობთ: „მეფე ვინმე იყო დიდებული, ოცდაათი ვაჟი ჰყვა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თვისთა, მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს და ვერ გატეხა. მერმე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დაღეწა. უთხრა შეილთა თვისთა:

– თუმცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგებხართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხთ, ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გავტეხე, თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან, თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა“<sup>1</sup>. საფიქრებელია, რომ ხელნაწერის შემდგენელმა ამბავი ზემოაღნიშნული თხზულებიდან ამოიღო, ოღონდ ხელნაწერში თავისებური ინტერპრეტაციით წარმოადგინა იგი. ანდა ისევე, როგორც სულხან-საბა ორბელიანმა მრავალი ხალხში გავრცელებული სიუჟეტი გამოიყენა თავის თხზულებაში, ასევე, შესაძლებელია ხელნაწერის შემდგენელმაც უშუალოდ ხალხისაგან აიღო ზემოაღნიშნული სიუჟეტი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძე წერილში „ზოგიერთი რამ“, როცა ქართველობის საკითხს ეხება, ზემოაღ-

<sup>1</sup> სულხანსაბა ორბელიანი, „სიბრძნე-სიცრუისა“, 1979, გვ. 63-64.

ნიშნულ ამბავს ეზოპეს მიაწერს. წერილში კვითხულობთ: „განთვითუელდით, ცალ-ცალკე დაეიშაღუნით, ასო-ასოდ დაეიჭერთ და მაგ განთვითუელდებამ, ცალ-ცალკობამ ყოველგან და ყოველ სფეროში ის საქმე გეყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითუელს წკეპლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტკრევს“<sup>1</sup>.

საჭიროდ მიგვანინია აღნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში მთავარი ის კი არ არის, თუ ვის დაესხება აღნიშნულ სიუჟეტს ხელნაწერის შემდგენელი, არამედ ის, რომ მასაც, როგორც სხვებს, აწუხებდა ქვეყნის დაქუცმაცება, შინაური აშლილობა, ძმათა შორის სისხლის ღვრა და ხსნას ამ უბედურებიდან ქვეყნის გაერთიანებაში ხედავდა. ვფიქრობთ, ამით უნდა იყოს განპირობებული აღნიშნული არაკის შესვლა ხელნაწერის ტექსტში.

ხელნაწერის პირველი ტექსტი „მოკლე მახვილ გონივრულნი ამბავნი“, წიგნის ძირითად ნაწილს მოიცავს, კერძოდ: 3რ-დან 70ს-მდე. აღნიშნულ ტექსტში მოცემული ამბების უმრავლესობა მცირე ზომის, იუმორისტული შინაარსის ანეკდოტის ფუნქციის მქონე ხალხურ ფაბლიოს, ანუ ხალხური ფაცვეციის<sup>2</sup> სახით წარმოგვიდგება. ვის არ შეხედებით ამ ამბების პერსონაჟებად, ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მეფეებს, თუ სასახლის კარის პირმოთნე დიდებულთ, გონება მახვილ, მოხერხე-

<sup>1</sup> იღ. ჭავჭავაძე, „სოვიერთი რამ“. რეული, წიგნი 1, 1975, გვ. 142-143.

<sup>2</sup> ად. ღლონტი, ხალხური ფაცვეცია, ქართული ხალხური ფოლკლორი წ. V, 1975, გვ. 188.

ბულ დაბავლი ფენის წარმომადგენლებსა თუ ცხოვრების გამოცდილებით შეიარაღებულ ბრძენთა პლეადას, ცბიერ, მატყუარა ღვთისმსახურთ, თუ სასამართლოს მექროთამე და თაღლით მოხელეებს. ტექსტში მრავლადაა სატირითა და იუმორით შეზავებული სატრფიალო-სასიყვარულო და საყოფაცხოვრებო ჟანრის ამბები, შეხედულებები მეგობრობაზე, შაირობაზე, სწავლა-აღზრდაზე, ასევე მრავლადაა წარმოდგენილი გასართობი, უწყინარი ხუმრობები.

ტექსტში მოცემულ ამბებზე ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნას, მოვიტან რამდენიმე მაგალითს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელნაწერში არის ამბები, რომლებიც საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენელთა გონებამახვილობასა და მოხერხებულობაზე მიგვითითებს. მათთან სიტყვიერ პაექრობაში მაღალი ფენის წარმომადგენლები მებატონეები, აზნაურები ყოველთვის გაცურებული და შერცხვენილი რჩებიან. ერთმა მებატონემ გაგზავნა თავისი მებაღე ბაღში სამუშაოდ, შემდეგ იფიქრა, წავალ დავხედავ როგორ მუშაობსო, მაგრამ მებაღე ხის ძირში მძინარე იპოვა: „გააღვიძა და უთხრა: ასე მუშაკობ უკეთურო და ავო კაცოო, ღირსი არა ხარ შენა პურის ჭამისა და იმისიცა, რომ მზეს უყურებდო; მიუგო მებაღემან, მე თითონაცა ვგრძნობ ბატონო, მაგას, რომ ღირსი არა ვარ მზის ყურებისაცაო და ამიტომ ვსწევარ ჩრდილსა ქვეშეო“ (11r-51). ანდა კიდევ „აზნაური ვინმე მივიდოდა, ერთის სოფლიდამ მეორესა შინა და შემოეყარა

მიმავალსა გზაზედ, ღამაზსა გლეხის ქალსა, რომელიცა მიელალებოდა ვირსა და ჰკითხა მას სად მიხვალ ღამაზოვო, მან მიუგო ამა და ამ სოფელსაო, ჰკითხა კვალთად, იცნობ იქა, ამა და ამ ქალსაო, მან მიუგო ვიცნობ ბატონოო, შინ არისო ახლა ისა კითხა და უთხრა მას, გთხოვ ჩემ მაგიერ ეს კოცნა წაუღოო, ქალმან მიუგო, ეგ კოცნა ამ ჩემს ვირს გაატანოო, ამიტომ, რომ ეს უწინ მივა იქა ჩემზედაო“ (150v-76).

ტექსტში წარმოდგენილ ფაბლიოთა ნაწილი ღვთისმსახურთა ცხოვრებას ასახავს. სააშკარაოზე გამოაქვს მათთვის დამახასიათებელი მანკიერი თვისებები და მისწრაფებები, თანაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ არავინ ისე კარგად არ იცნობს მათ, როგორც თვითონ მისი თანამოსაქმე, მასსავით ცბიერი და გაქნილი სამღვდელო პირი. „ანტიქრისტიანული მოტივების შემცველი ფაბლიო ნოველათა ძირითადი ნაწილი, - წერს ალ. ლლონტი, - ქრისტიან ხალხებში დამოუკიდებლად, ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენდა და ამდენად რელიგიური კულტის მსახურთა მორალური გახრწნის პროცესი პირველად ხალხურ ეპოსში აისახა, ხოლო შემდეგ მხატვრულ ლიტერატურაში. ამ განწყობილებაში ფართოდ იხინა თავი ანტიქრისტიანულ მწერლობაში, რომლის კლასიკურ ნიმუშს დასავლეთის რენესანსში ბოკაჩოს „დეკამერონი“ წარმოადგენს, სადაც ერთნაირად გამოიყურება გაქნილი და ცბიერი, ზოგჯერ კი უჭკუო სამღვდელო პირი. ქართულსა და ყველა ქრისტიანი და არა მარტო ქრისტიანი ხალხის ეპოს-

ში ინტერნაციონალური გაურცეფლებისაა სატირული ფაბლიო, რომლის მიხედვით მღვდელმა ქრისტიანული წესის აგებით დაასაფლავა თხა, თუ ძაღლი<sup>1</sup>. ამ სიუჟეტის მშვენიერ ვარიანტს ვეცნობით ხელნაწერის 247-ე ამბავში, სადაც ვკითხულობთ: „ერთმან პასტორმან დამარხა საყუარელი ძაღლი თვისი, სასაფლაოსა ზედა, ეპისკოპოსსა ნებავედა განპატიეება მისი. ესე ვითარისა უსჯულოებისათვის, ხუცესმან მეცნიერმან რომელ, ეპისკოპოსი იგი არს ანგარების მოყუარე, გამოუცხადა მას ესრეთ, უკეთუ იცოდეს თქვენმან ღირსებამანო, თუ ვითარ გონიერი იყო ძაღლი იგი, მაშინ შერაცხდითო გულსხმიერ ცხოველად, მან, გიანდერძათ ვერცხლის ჯამი, რომელისაგანცა სჭამდა იგი საჭმელსა, რომელიცა ეპა მომირთმევეია. ეპისკოპოსმან საჩუქრითა ამით ძლეულმან, მისცა ცოდუა იგი დავიწყებასა“ (46r).

ქართულ მწერლობაში და თვით ზეპირსიტყვიერებაში ხშირად გვხვდება მცირე ზომის ნაწარმოებები, რომლებშიდაც სამარცხვინო ბოძზე არიან გაკრული სასამართლოს მოხელენი. ამ მხრივ ხელნაწერის ტექსტში უხვადაა ამბები, რომლებიც სასამართლოს მოხელეთა გაიძევრობასა და მექრთამეობაზე გვიამბობენ. მათ შორის: „გლეხი ვინმე ძვირშემთხვეული მეზობლისაგან, წარვიდა მოსამართლესთან საჩივლელად და მიართუა მას ერთი კოჭობი რძედ და დამნაშავემან რა მსცნა ესე, წაჰგუარა მოსამართლესა მას გოჭი და

<sup>1</sup> ალ. დლონტი, ქართული ხალხური ნოველა, თბ., 1963, გვ. 111-115.

მორნა ამით განსაცდელსა, შეწუხებულმან მონივარმან  
 კკითხა მწერალსა მოსამართლისასა, სად არის ჩემი  
 რქეო, მწერალმან განუცხადა საიდუმლო და უთხრა,  
 გოჭმან შესუაო, ოი, საძაგელი პირუტყვიო, მგელსაც  
 გაუხეთქია ისაო კსთქუა მონივარმან“ (28v-147), ანდა  
 კიდევ: „მოსამართლემან უთხრა თვისსა მონივარსა მე  
 შენის საქმიდგან ვერას ვპხედაო, შენს სასარგებლოსა,  
 მან გულისხმა პყო სიტყუანი ესე, ამოიღო ჯიბიდგან  
 ორი ოქროე და მისცა მსაჯულსა მას და უთხრა აი  
 ბატონო კარგი სათუალე მომირთმევიაო და ეს უთუ-  
 ოდ დაგანახეებსო“ (24v-236).

სასახლის კარზე ჭკვიან და ერთგულ ქვეშევრდომ-  
 თა შორის ყოველთვის იყვნენ უჭკუო და პირმოთნე დი-  
 დებულები. ვერც ისინი გადაურჩნენ ხალხის განაჩენს,  
 მათ შესახებაც შექმნა ხალხმა უამრავი სატირული  
 ხასიათის ამბავი, რომლებშიაც სასაცილოდ და უსუ-  
 სურად გამოიყურებიან სასახლის კარის მსახურნი.  
 აღნიშნული ხასიათის ფაბლიოები მრავლადაა წარ-  
 მოდგენილი ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერშიც. მათ  
 შორის: „ჩინებული ვინმე დიდ შემძლეე, სახელოვანი  
 უფრო გუარტომობითა თვისითა, ვიდრე გონიერებითა,  
 ახლდა დედოფალსა, რომელმაცა კკითხა მას, თქვენი  
 ცოლი როგორ მშვიდობით არისო, მან მოახსენა ფეხ-  
 მძიმეთ გახლავსო, დედოფალმან უბრძანა, როდის შობ-  
 სო, მან მოახსენა, როცა ენებება თქვენს დიდებულება-  
 საო“ (48r-257).



ხელნაწერში განსაკუთრებით მრავლადაა წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო ჟანრის სიუჟეტები. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ ერთგვარი ციკლი სათაურით – „ერთგული და მოღალატე ცოლები“. მოღალატე, ორგული ცოლი მრავალი ორიგინალური ქართული ხალხური ფაბლიოს პერსონაჟია. ამ ციკლის ამბები მრავლადაა გავრცელებული მსოფლიოს ხალხთა ზეპირსიტყვიერებაშიც. მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ხასიათის ფაბლიოებისა მწიგნობრული წარმოშობისა უნდა იყოს. ამას მოწმობს ის, რომ „ხალხური ფაბლიოს ბევრ მსგავს სიუჟეტურ მოტივს ეპოულობთ ინდურ „პანჩატანტრაში“, ჯ.ბოკაჩიოს „დეკამერონსა“ და იგაუ-არაკული ჟანრის თხზულებებში“<sup>1</sup>. ხელნაწერის შემდგენელს მეტად საინტერესო სიუჟეტი მოუძებნია მოღალატე ცოლის გამოსააშკარაებლად. ტექსტში ვკითხულობთ: „რომელსამე ჭაბუკსა შეემთხვა ყოფად მეჯლისსა შინა, თვისითა ახალმოყუანილითა ცოლითა და ვინადგან სხუანი მუნ მყოფნი ქალნი, ლაპარაკობდნენ ერთმანეთშია, მაშინ ცოლმანცა მის ჭაბუკისამან, მოინდომა აღმოჩენა თავისა და იწყო მოთხრობად ყოველთა ჴელოვნებათა, რომელნიცა ესმარა ერთსა მოაშიკესა, შესვლისათვის ღამე საწოლსა შინა, საყუარლისა თვისისა ქალისადმი, დროსა არაყოფნისასა, ქმრისა მისისა სახლსა შინა და ოდესაც შეყრილიყუნენ საყუარელნი ესე მარტოდ, მაშინ უბედურებისაგამ მათისა იწყო ქმარმან მისმან რახუნი

1 აღ. ღლონტი, იქვე, გვ. 63.

კარისა და იფიქრეთ თქვენა, უამბობდა მათ, როგორს შეშფოთებაში ვიქნებოდით მე“ (16r-78).

ხელნაწერში წარმოდგენილი ამბების გარკვეული ნაწილი მოკრძალებით გვიხატავს ერთგული ცოლის პორტრეტს, ღრმად გვახედებს მის სულიერ სამყაროში, სამაგალითო ქცევისა და ხასიათის თვისებებით წარმოგვიდგენს მას. ერთგული და მოხერხებული ცოლები შესახებ საინტერესო სიუჟეტია წარმოდგენილი ხელნაწერის მე-20 გვერდზე: „იმპერატორმან კონდრად მესამემან, აღიღო დიდი შრომითა, ქალაქი მუნინ და განიზრახვიდა ბრძანების მიცემასა, რათა დახოცონ ყოველნი მამაკაცი მის ქალაქისანი, ხოლო დედაკაცი გამოვიდენ ქალაქითგან და მიეცესთ მათ ნებაჲ თან გამოტანისა, რაც უმჯობესი იყოს მათთვის, ცოლთა რა მიიღეს ბრძანება ესე, მოჰკიდეს ხელი ქმართა თვისთა და გამოასხეს ივინი მთქმელთა ამისთა რომელ, ამათზედ უძვირფასესი საუნჯეჲ, ჩვენ აღარა გუაქუს რაო და ესენი არიან ჩუენნი თუალის სინათლენიო, მოგონებითა ამით დედაკაცებისათა, ეგოდენ იძლივა ჴელმწიფე, იგი, რომე მიუტევა ყოველთა მცხოვრებთა იქაურთა და მეფესაცა მათსა, რომელისაცა ენება სრულიად აკლება და დაქცევაჲ (20r-98).

წიგნში უხვადაა წარმოდგენილი გასართობი, უწყინარი ხუმრობები, მათ შორის: „ქმარმან უთხრა ცოლსა თვისსა, წიგნები დიდად მიყუარსო, ცოლმან მიუგო, ნეტავ მეც წიგნად მაქციო, რომ შევიქმნა საგანი შენის სიყუარულისაო, ქმარმან უპასუხა, ეგ თუ მიუცილებელი

იქნებოდაო მაშინ ვისურვებდი კალენდარი ყოფილიყო, რომე ყოველ წლივ გამომეცვალო“ (42r-225).

ხელნაწერში ვხვდებით უცხოეთში ქართველების შესახებ გაერცელებულ ამბებსაც. მათ შორის: „კარლო მეხუთე იტყოდა კარგის ჯარის შედგინებისათვის მსურსო, რომელ იტალიელნი წარმოადგენდნო თავსა დიშპანელნი ხელთა, ქართველნი მკერდსა, ერთგულებსა გამო მათისა და ღონისა და სხუანი სახელმწიფონი შეადგენდნო მუცელსა და ფეხებსა“ (33v-182).

საქართველოში ყოველთვის დიდ სიძულვილსა და რისხვას იმსახურებდა სამშობლოს მოღალატე ქართველი კაცისათვის ამაზე უმძიმესი დანაშაული არ არსებობდა და ამიტომ სამართლიანად მიიჩნეოდა მოღალატის სიკვდილით დასჯა, არ ინდობდა ქართველობა თვით უცხო ქვეყნის წარმომადგენელს, რომელმაც თუნდაც ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ უღალატა თავის სამშობლოს. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ტექსტში 45v-ზე წარმოდგენილი 224-ე ამბავი. ხელნაწერში ვკითხულობთ: „რომელნიმე ივერიის სარდალმან უბრძანა, ერთისა მაჰმადიანთ მესაზღვრისა ქალაქ მთავრისა დაჰსჯად. ქალაქის მიცემისათვის და განსამართლებლად თავისა თვისისა, წინაშე ქალაქ მთავრისა მის, რომელსაცა აღუთქუა ხსენებულმან სარდარმან, ვიდრემდე ქალაქს მისცემდა მას, რომელ ანიჭებს მას სიცოცხლესა და დააჯილდოებს კმასა-ყოფელად, არაჲინა მოვალე არსო აღსრულებად ატქმულისა, კაცისა მისთვის, რომელიცა უღალატებსო მამულსა თვისსა“.

წიგნში გვხვდება ამბები, რომლებშიდაც გაკიცხულია სასახლის კარის მოღალატე ქვეშევრდომები. კერძოდ: „მეფე ვინმე იტყოდა, ღმერთო დამიფარე ნემთა ვაჲ ემათაგანო, ერთმან ვინმე მოახსენა, რატომ ამას არა სთხოვ ღმერთსა რომ თქვენთა მტერთაგან დაგიფაროსთო, მეფემან უბრძანა: ამისთვის რომე მტერთა განზრახვის წინასწარ ცნობა უადვილესია, ვიდრე მათი რომელთა ზედაცა დამიდვია სასოებაო“ (12v-59).

ხელნაწერში ერთი მეტად საინტერესო ამბავია მოთხრობილი. შეყვარებული ქალ-ვაჟი კოლომბინა და არღეკინი ერთმანეთს სიყვარულს უხსნიან და ამ დროს თავიანთი სიყვარულის დასამტკიცებლად სარწმუნო არგუმენტად მოჰყავთ საზოგადოების სხვადასხვა ფენისთვის დამახასიათებელი მანკიერი თვისებები. ყოველივე ამით ისინი წარმოგვიდგენენ იმ ეპოქის სურათს, რომელშიაც უხდებათ ცხოვრება. ტექსტში ვკითხულობთ: „კოლომბინა ხუმრობას გარდა გიყუარვარა მე, არღეკინ, სარწმუნოდ მიყვარხარ, ესრეთ, როგორადაც მწერალთა ქრთამის აღებად და მემთურალობა და შენ გიყუარვარა მე, კოლომბინ, მე ასრე მიყუარხარ, შენა, როგორადაც ძვირთა კაცთა თეთრი, არღეკინ, მე ასრე მიყუარხარ, როგორადაც მკურნალთა სნეული, კოლომბინ, მე ასრე მიყუარხარ, როგორადაც მღუდელთა მკუდრის დამარხუად და აზნაურთა განზნევა – შექცევა და შეურაცხყოფად გლახთა, კოლომბინ მე ასრეთ მიყუარხარ, როგორადაც მთავართა თვითსჯელობად, კოლომბინ, მე ასრეთ მიყუარხარ, როგორადაც კომუდიანტთა

დიდი შეყრილობაო, არღუეკინ მიუგო, ახ, შეიცადე, საქ-  
მაო არს, მე აღარ შემძლიან მაგაზედ მეტი სიყუარუ-  
ლიო“ (37v-205).

ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: ტექსტში წარმოდგე-  
ნილი ამბები შემთხვევით როდი შეუკრებია ხელნა-  
წერის შემდგენელს, მათ გარკვეული მისია აკისრიათ,  
ისინი ნათლად ასახავენ იმ ეპოქას, საქართველოს იმ-  
დროინდელ ცხოვრებას, როცა ქვეყანაში მორალისა  
და ზნეობის საკითხები განსაკუთრებულ ყურადღებას  
მოითხოვდა, დადგა აუცილებლობა იმისა, რომ ქვეყ-  
ნის ცხოვრება ძირ-ფესვიანად შეცვლილიყო, თუ რა-  
იყო ამისათვის საჭირო, ამაზე ნათლად მიგვანიშნებს  
ხელნაწერის 7r-ზე მოცემული 27-ე ამბავი, რომელიც  
არაკის ფორმით, მაგრამ მაინც სავსებით გასაგები ში-  
ნაარსით წარმოგვიდგება: „ჰკითხა იმპერატორმან, რით  
შეიძლებაო განფესვილისა, ზნის განრყუნილების გა-  
მართუაო. მაშინ ველიზერმან მოუწოდა თვისსა მებოს-  
ტნესა და უთხრა მას, გესმის მეგობარო, ოდესცა ბა-  
ლახი აღმოსცენდების, შენთა მცენარეთა შორის რას  
უზამ, მებოსტნემ მოახსენა ძირით ამოვგლეჯე ხოლმეო.  
ველიზერმან უთხრა რატომ შალთით არ მოსტერიო, მე-  
ბოსტნემან მიუგო, ამიტომ რომ მოჭრილი ბალახი ნია-  
დაგ ძირიდგან კვალიად აღმოაცენებსო და ამისათვის  
ჩემი მუშაკობად იქნებოდა ნიადაგ დაუსრულებულიო,  
ვინაიდგან ბალახის ძირსა აწოებსო მიწად და მას მოკ-  
ვეთა ჳამსო“.

არაკიდან აშკარად სჩანს, რომ სახელმწიფო აპარა-

ტი სხვადასხვა რეფორმისა და მოთხოვნის გატარებით ქვეყანაში ზნეობის აღდგენას ვერ შესძლებდა. უფრო მეტიც, იგი იმდენად მოიშალა, რომ თვითონ აწვდიდა საზრდოს ქვეყანაში განფეხვილ ყოველგვარ ბოროტებას და სწორედ მისი ძირფესვიანად შეცვლა იყო საჭირო, რაღაც ახალი ფორმით, რომელიც შექმნიდა ქვეყნად მაღალი მორალისა და ზნეობის ატმოსფეროს.

ამრიგად, ხელნაწერი წიგნის პირველ ტექსტში – „მოკლე მახვილ გონიერულნი ამბავნი“ დიდძალი მასალაა წარმოდგენილი, მეტი წილი ამ ამბებისა მთარული სიუჟეტებიდან უნდა იყოს აღებული, არ არის გამორიცხული მწიგნობრული სესხების გზაც, რაც ჩვეულებრივ დამახასიათებელია ამ ტიპის ნაწარმოებთათვის, მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ ხელნაწერის შემდგენელს ყველა ეს წყარო თავისი ძირითადი მიზნისათვის აქვს შერჩეული და გადამუშავებული, კერძოდ მას სურდა სააშკარაოზე გამოეტანა და გაეკიცხა მაშინდელი საქართველოს ცხოვრების ყველა ის მანკიერი მხარე, რომელიც წინ ეღობებოდა ქვეყანას წინსვლისა და კეთილდღეობის გზაზე.

## კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურული არქივის კატალოგი

ქუთაისის მუზეუმში დაცულ არქივთაგან ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურულ არქივს უჭირავს. ეს განპირობებულია არამარტო იმით, რომ აქ დაცულია ქართული ლიტერატურის კორიფეების – ილიასა და აკაკის ავტოგრაფები, არამედ იმიტაც, რომ აქ წარმოდგენილი მასალები მთლიანობაში წარმოაჩენენ კირილე ლორთქიფანიძის, როგორც მრავალმხრივი მოღვაწის პორტრეტს, მასალები, რომელთაც, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული XX საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით, ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარების ისტორიის შემსწავლელი ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

კ. ლორთქიფანიძის ლიტერატურული არქივი მუზეუმში შემოვიდა 1919 წელს, მისივე ანდერძით<sup>1</sup>. ცნობილია, რომ ანდერძად მიჩნეულია მისი წერილი ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარის ტრ. ჯაფარიძისადმი. მასში ვკითხულობთ: „... ვათავებ ამ წერილს შემდეგის ჩემის გადაწყვეტილებით: ამჟამად, როცა ქუთაისში ახალი კულტურული

<sup>1</sup> იხ. მუზეუმის არქივთა კატალოგი – „კირილე ლორთქიფანიძის ლიტ. არქივი“.

დაწესებულება დაარსდა, რომელსაც დიდი სამსახური შეუძლია ჩვენი საზოგადოების წინაშე, სახელად ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, ამ საზოგადოებას მე ვუძღვნი ყველა ზემოთაღნიშნულს წიგნებსა და ნივთებს. იმედი მაქვს ამ საზოგადოებას ცოტათი მაინც გამოადგება“<sup>1</sup>. წერილი დათარიღებულია 1916 წლის 14 იანვრით, მასში არაფერია ნათქვამი ლიტერატურული არქივის შესახებ, მაგრამ მან რომ არქივიც ამავე საზოგადოებას დაუტოვა, ამას ადასტურებს კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის – ხომლეკლის წერილი. წერილში ვკითხულობთ:

„ის (კ. ლორთქიფანიძე – ც.მ.) ფარვანასავით თავს დასტრიალებდა მშობელ ერს და ჯერ კიდევ თავის სიცოცხლის დღეებში ქუთაისის საეთნოგრაფიო საზოგადოებას შესწირა თავის მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა და არქივი“. იგივე ფაქტი ტრიფონ ჯაფარიძემ ქუთაისის მუზეუმის პირველი გამოფენის გახსნისას ასე დააფიქსირა: „იშვიათი მაგალითი იყო ძვირფასი მამულიშვილის აწ განსვენებული თავადის კირილე ბუჟანის ძე ლორთქიფანიძის მოქმედება, რომელმაც თავის შესანიშნავი ბიბლიოთეკა და არქივი ყოველგვარი ნაშთებით მუზეუმს დაუტოვა“<sup>2</sup>.

არქივი 1303 საბუთს ითვლის და მოიცავს პერიოდს 1858 წლიდან 1917 წლამდე. მასში დაცული მასალები

1 კიმ 2173/449

2 იხ. ჩვენი პუბლიკაცია – ც.მუქლაძე – „ტრიფონ ჯაფარიძე“  
გვ. 31 (კიმ – 192/1063.)



მეტად ფართო სპექტრით წარმოგვიდგება; აქ თავმოყრილია ავტობიოგრაფიული, საზოგადოებრივი, ლიტერატურული და კულტურის ისტორიის ამსახველი დოკუმენტები: ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ავტოგრაფები. საჭიროდ მიგვანჩნია ზოგიერთი მათგანის ჩამოთვლა. კერძოდ, არქივში დაცულია ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფი - ლექსი „ნანა“, „ქართველ სტუდენტთა სიმღერა“, ნაწილი „აჩრდილის“, „გლახის ნაამბობის“, „მგზავრის წერილებიდან“; „აჩრდილისა“ და „რა ვაკეთოთ, რას ვშვრებოდით“ კირილე ლორთქიფანიძისეული ხელნაწერები; ილიას რამდენიმე წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი, რომლებიც შეეხება მისი ნაწარმოებების ბეჭდვასა და სხვა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-ლიტერატურულ საკითხებს. არქივში ინახება აკაკი წერეთლის ავტოგრაფები - „თორნიკე ერისთავი“, „განთიადი“, „თამარ ცბიერი“, „სიმართლე“, „სახსოვარი“... აკაკის პირადი წერილები კირილესადმი; ნიკო ნიკოლაძის სტატიები, წერილები, „დროების“ რამდენიმე კორესპოდენცია.

აქვეა დაცული პირადი წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი, რომლებიც ეხება გაზეთ „დროების“ მუშაობას, საქართველოს კულტურულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ისტორიის საკითხებს. წერილებში და სტატიებში მოცემულია ცნობები საფრანგეთში მისი მოღვაწეობისა და ევროპისა და თვით საფრანგეთის საზოგადოებრივი

ცხოვრების შესახებ. აქვეა გიორგი წერეთლის წერილები კლორთქიფანიძისა და სხვა საზოგადო მოღვაწეებისადმი, რომლებიც ძირითადად მათ მოღვაწეობას შეეხება გაზეთ „დროებაში“ „სასოფლო გაზეთში“, ჟურნალ „კრებულში“. „კვალში“... ინტერესს იწვევს გ.წერეთლის სტატია – „დრომ წამოაყენა“, რომელშიაც დახასიათებულია თბილისის და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკების მუშაობა, საზოგადოების დამოკიდებულება ამ ბანკებისადმი, ილია ჭავჭავაძესა და ი.მანაბელს შორის წამოჭრილი უთანხმოება ბანკის თაობაზე, არქივში დაცულია სერგეი მესხის წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი, რომლებიც შეიცავს მასალებს გაზეთ „დროების“ მუშაობის შესახებ. თავისი სიმრავლითა და მრავალფეროვნებით ინტერესს იწვევს პოეტ მამია გურიელის ავტოგრაფები, რომელიც მას თვითონვე გადაუცია კლორთქიფანიძისათვის და ამასთან უღიარებია კიდევ იგი თავისი მასალების შემკვიდრედ და გამომცემლად. ამის დასტურია მამია გურიელის ძმების მიერ შედგენილი განცხადება, რომელიც მათ კავკასიის საცენზურო კომიტეტში წარუდგენიათ და რომელიც ამჟამად კირილეს არქივში ინახება. განცხადებაში ვკითხულობთ: „გვაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ჩვენი ძმის თავად მამია დავითის ძე გურიელის ხელნაწერი ავტოგრაფები და მათი პირები პოეტის ზედამხედველობით გადაწერილი, სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე, განსვენებულმა პირადად

გადასცა თავად კირილე ბუქანის ძე კლორთქიფანიძეს მის საკუთრებასა და სრულ განკარგულებაში“...<sup>1</sup>

მამია გურიელთან დაკავშირებული მასალები თავისი სიმრავლითა (200-მდე დოკუმენტი) და თემატური მრავალფეროვნებით შეიძლება იყოს ცალკე არქივად განხილულიყო. ამდენად საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე – წარმოდგენილია არქივი არქივში, მაგრამ რამდენადაც გურიელის არქივში არის მისი მიმოწერა კლორთქიფანიძესთან, ხოლო კირილეს ლიტერატურულ არქივში დოკუმენტები, კერძოდ, მისი წერილები გურიელისადმი, ჩვენ საჭიროდ ჩათვალეთ, ორივე მათგანი კვლავაც მთლიანობაში წარმოგვეჩინა საერთო კატალოგში. აღნიშნული იმანაც განაპირობა, რომ ისინი თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში მოღვაწეობდნენ, მათი ურთიერთობა ვიწრო მეგობრულ ხარისხებს სცილდება და ფართო შემოქმედებით ჭრილში განიხილება, ანგარიშგასაწევია ტექნიკური მომენტიც: დღემდე მ.გურიელის მასალები კლორთქიფანიძის სამუშეუმო შიფრით არის შესული სამეცნიერო ბრუნვაში და ამჟამად მისი შეცვლა ერთგვარ გაუგებრობასთან იქნებოდა დაკავშირებული.

კლორთქიფანიძის არქივში დაცულია ასევე ალექსი ჭიჭინაძის, ზაქარია ჭიჭინაძის, სილოვან ხუნდაძის, დავით ბაქრაძის, იაკობ გოგებაშვილის, რაფიელ ერისთავის, დიმიტრი დადიანის, გრიგოლ ვოლსკის, პეტრე უმიკაშვილის, ნიკო ლოღობერიძის, ბესარიონ ლოღო-

1 ქიმ 217№268 (წერილი გამოქვეყნებული აქვს პვატრიძეს)

ბერიძის, დავით ღამბაშიძის, ალექსანდრე ყაზგების, ალექსანდრე ცაგარელის, პეტრე წულუკიძის, ანასტასია წერეთლის, ილია ჭყონიას და სხვა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი წერილები, ნაშრომთა ხელნაწერები და სხვ.

არქივში დაცულია იმ წერილთა ასლები, რომლებიც კირილე ღორთქიფანიძეს სხვადასხვა დროს გაუგზავნია ზემოთხსენებულ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებისათვის.. ისინი შეეხება მე-19 ს-ის მეორე ნახევრის და მე-20 ს-ის დასაწყისის საქართველოს კულტურის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს. მათში მოცემულია საინტერესო ცნობები საქართველოს სოციალ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, განათლების, საგამომცემლო საქმიანობის, თეატრალური ცხოვრების, პეტერბურგში მოღვაწე ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მომენტების შესახებ. აქვეა თვით კირილე ღორთქიფანიძის სტატიები, ნაშრომები, ნათარგმნი და ორიგინალური ლიტერატურა. არქივში წარმოდგენილია ზოგიერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ოფიციალური მასალები, განცხადებები, პროგრამები, წესდებები, მიმართევები, აფიშები, უწყისები, სიები, დეპეშები, მოსაწვევი და სამახსოვრო ბარათები...

კლორთქიფანიძის ლიტერატურულ არქივში დაცული მასალები არაერთხელ ყოფილა ქართველ მკვლევართა კვლევის საგანი. ამან განაპირობა ის, რომ მი-

სი უდიდესი ნაწილი დღეისათვის შესწავლილი და გამოცემულია. კერძოდ: 1961 წელს პინგოროვეას რედაქტორობით გამოიცა ილია ჭავჭავაძის, 1963 წელს კი გაბზიანიძის რედაქტორობით აკაკი წერეთლის წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი; 1949 წელს ს.ხუნდაძემ გამოსცა „სერგეი მესხის წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი“, 1965-66 წლებში „მაცნესა“ და „ლიტერატურულ აჭარაში“ ელისო აბრამიშვილმა გამოაქვეყნა გიორგი წერეთლისა და ნიკო დოდობერიძის წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი, მანვე 1981 წელს გამოსცა ვრცელი ნაშრომი – „მასალები XIX საუკუნის 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან“, რომელშიაც მოათავსა მანამდე ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი წერილები, რომელთა საფუძველზე განსაკუთრებით ცხადად იკვეთება ისეთ საინტერესო პირთა სახეები, როგორებიც იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე. არქივში დაცულ მასალებზე დაურდნობით კმეძველიამ 1965 წელს გამოსცა ვრცელი ნაშრომი – „თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე“. ნაშრომში მკვლევარმა დაწვრილებით ასახა ცნობილი მოღვაწის ცხოვრების ძირითადი მომენტები და ფართო ანალიზი გაუკეთა მის მემკვიდრეობას. როცა კ.ლორთქიფანიძის არქივში დაცული მასალების გამოცემაზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით მუზეუმში მოღვაწე ქუთაისელ მკვლევართაც, კერძოდ,

მნიკოლეიშვილსა და პვაჭრიძეს, რომელთაც თავიანთ ნაშრომებში<sup>1</sup> ქუთაისის კულტურული ცხოვრების პერიპეტების ასახვისას უხვად გამოიყენეს ლიტერატურულ არქივში დაცული შესაბამისი მასალები.

თვით ქუთაისის მუზეუმში არქივის მასალები შეისწავლა და მათზე კარგად გამართული ანბანური კატალოგი შეადგინა აწ განსვენებულმა პროფესორმა ქსანიკიძემ. ეს კატალოგი დღემდე მოქმედებაშია. პარალელურად საჭირო გახდა დამუშავდეს და გამოსაცემად მომზადდეს არქივში დაცული მასალების თემატური კატალოგი, რომელშიაც თემატიკის მიხედვით მოხდება მასალების დაჯგუფება; რაც, თავის მხრივ, მკვლევართ გაუიოლებს მათთვის საინტერესო საკითხთა დამუშავებას და ამასთან გაცილებით მისაწვდომს გახდის საკვლევ ობიექტთან დაკავშირებულ მასალათა მოძიებას. კატალოგს დაერთვება კომენტარები, პირთა და გეოგრაფიული საძიებლები.

კატალოგის პირველი განყოფილება იქნება ბიოგრაფიული მასალები, რომელიც გაისხნება ცნობით დიხაშხოს სამების ეკლესიის საქმეებიდან იმის შესახებ, რომ „დიხაშხოს მცხოვრებ თავად ბეჟან გრიგოლის ძე ლორთქიფანიძეს და მის სჯულიერ ცოლს დარუჯან ვახუშტი ჩიჯავაძის ასულს, სარწმუნოებით ქრისტიანს დაებადათ შვილი კირილე 28-ს და მოინათლა

<sup>1</sup> მნიკოლეიშვილი „განისი და საგანძური“  
პვაჭრიძე - „როტაციონის ბრუნავს მანქანა“.

30 სექტემბერს<sup>1</sup>. საბუთი 1839 წლის 9 ნოემბრით არის დათარიღებული. კატალოგის ამ განყოფილებაში გაერთიანებული მასალები საშუალებას მოგვცემს თავლი მივაღვეწოთ კლორთქიფანიძის ცხოვრებასა და შემოქმედებით მოღვაწეობას ღრმა მოხუცებულობამდე, კერძოდ, იმ დრომდე, როცა კირილემ თავისი ცნობილი ანდერძით ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას უძღვნა თავისი უნიკალური ბიბლიოთეკა და არქივი.

კატალოგის შემდგომი განყოფილება იქნება საგამომცემლო საქმიანობა, რომელშიაც თავს მოიყრის წიგნის ბეჭდვისა და გავრცელების, შესაბამისი პერიოდის პერიოდიკის გამოცემის საქმეში კლორთქიფანიძის მიერ გაწეული ღვაწლის ამსახველი დოკუმენტები: ძირითადად, ეპისტოლარული მასალები და ჩვენთვის საინტერესო პერიოდში გამოცემულ წიგნთა ეგზემპლარები.

ცნობილია, რომ წიგნის ბეჭდვას ქუთაისში თითქმის 200-წლოვანი ისტორია აქვს, მაგრამ იგი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან. წიგნის ბეჭდვისა და წიგნების გავრცელების საქმეში ჩაებნენ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების გამონენილი წარმომადგენლები, დაარსდა სტამბები, სხვადასხვა სახის გამომცემლობანი და წიგნის მაღაზიები, ქუთაისში დაბეჭდილი წიგნები ვრცელდებოდა მთელს საქართველოში და ხელს უწყობდა

1 კიმ 2173/516

ჩვენი ხალხის კულტურული დონის ამაღლებისა და ეროვნული თვითშეგნების განვითარების საქმეს<sup>1</sup>.

არქივში დაცული დოკუმენტური მასალები ნათელს აჩვენებს თუ როგორ ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ თურგდალეულები ჯერ კიდევ უნივერსიტეტის კედლებშივე, მშობელი ხალხის სამსახურზე, განათლების ფართოდ გავრცელებაზე. ამ მიმართებით ინტერესს იწვევს ცნობილი ქართველი პუბლიცისტის, მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის წერილები კვლავთქიფანობისადმი, მოვიტანთ ნაწყვეტს ერთ-ერთი მათგანიდან: „...თუ ბედმა მიგვიყვანა ქუთაისს ჩვენ... მე მინდა აქ გავხსნათ ერთი ტიპოგრაფია და დაგბეჭდოთ შით ხალხისათვის აზბუკები, არითმეტიკები, სახალხო წიგნები და პატარა პოლიტიკური, ლიტერატურული და სატირული გაზეთი“<sup>2</sup>. წერილიდან ჩანს, რომ ამ წამოწყების მატერიალურ უზრუნველყოფას თვით ნ.ნიკოლაძე კისრულობდა, მაგრამ, თუ რაიმე დაბრკოლება გამოჩნდებოდა, ან ეს საქმის ბოლომდე მისაყვანად საკმარისი არ იქნებოდა, ამ შემთხვევაში იგი თხოვნით მიმართავს კირილეს: „...ეცადე, ძმაო კირილე, თუ მე არ ვიქნები, შენ გაქვს მამული, შეძლება, განა ორი ათას მანეთს ვერ იშოვი? ეს სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხისათვის“<sup>3</sup>.

აღნიშნული საკითხის წარმატებით გადაჭრა კირი-

1 პვატრიძე ქიმ სმ 140/7 - „ქუთაისში წიგნის ბეჭდვისა და წიგნის გავრცელების ისტორიიდან“.

2 ქიმ 2173/790

3 იქვე



ლეს წარმოდგენაში წიგნის გამომცემელთა ამხანაგობის შექმნასთან იყო დაკავშირებული. ეს ნათლად ნანს ილია ჭავჭავაძისადმი მიწერილ მის ვრცელ წერილში, სადაც იგი ასაბუთებს წიგნის გამომცემელთა ამხანაგობის დაარსების აუცილებლობას და მათ ძირითად მოვალეობას ასე განსაზღვრავს: „...რომ სხვადასხვა საკითხავი წიგნები ებეჭდათ და ამით ცოტაოდენი სარგებლობა მოეტანათ ამ მხრით ღარიბის წვენი მამულისათვის“<sup>1</sup>.

არქივში დაცული მასალებით ირკვევა, რომ გარკვეულ პერიოდამდე, კერძოდ, 1892 წლამდე ქართული წიგნების გამომცემელი ამხანაგობის დაარსება ქუთაისში ვერ მოხერხდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ქალაქში ამ მიმართებით ნაყოფიერი საგამომცემლო საქმიანობისათვის. ამის დასტურია ქართული მწერლობის მოყვარულთა ჯგუფის მიერ გამოცემული: „ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია“. 1889-91 წლებში სამ ტომად გამოცემული ლიტერატურულ-ისტორიულ ნაწარმოებთა კრებული – „ცდის“ სახელწოდებით<sup>2</sup> და სხვ.

საგამომცემლო საქმიანობის განყოფილებაშივე წარმოდგენილი იქნება მასალები კლორთქიფანიძის შრიფტთან დაკავშირებით, დოკუმენტები, რომლებიც შეეხება კლორთქიფანიძის ღვაწლს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაში, გაზეთ „დროების“, „შრომისა“ და ჟურნალ „კრებულის“ გამოცემის საკითხებს.

1 ქიმ 2173/187

2 კვატრიძე დასახ. ნაშრომი.

კატალოგში ცალკე განყოფილებად იქნება წარმოდგენილი კლორთქიფანიძის ნათარგმნი და ორიგინალური შემოქმედება, როცა კლორთქიფანიძის თარგმანებს ვეხებით, გადაჭრით უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი თარგმნიდა მხოლოდ რევოლუციონერ და მებრძოდ პოეტებს. ამან განაპირობა ის, რომ მან გვერდი აუარა პუშკინს, ლერმონტოვს და თარგმნა ნეკრასოვის, დობროლუბოვის, ნიკიტინისა და პლეშჩევევის ლექსები. ეს არ იყო გამოწვეული კლორთქიფანიძის შიშით ან მოკრძალებით დიდი პოეტებისადმი. აქ ამოსავალი ის იყო, რომ მისთვის მთავარი ლექსის შინაარსი გახლდათ და ეს შინაარსი უნდა ყოფილიყო რევოლუციური იდეებითა და მოწოდებებით გაჯერებული. არქივში დაცული შემოთადნინებულ პოეტთა ლექსების კირილესეული თარგმანები მართლაც რევოლუციური სულისკვეთებითა და არსებული მონური მდგომარეობის მიმართ ამბოხით გამოირჩევა.

რაც შეეხება თარგმანთა მხატვრულ დონეს, ისინი არ შეიძლება მაღალმხატვრულ ნიმუშებად მივიჩნიოთ; თვით კირილემ კარგად იცოდა, რომ მისი თარგმანები მხატვრულად სუსტი იყო, მაგრამ მთავარ ყურადღებას შინაარსეულ მხარეს აქცევდა და ამით ამართლებდა მათი გამოქვეყნების აუცილებლობას. „უხეიროდ, მაგრამ ორიგინალთან სწორად გადათარგმნილი“, – ასე ახასიათებდა იგი თავის თარგმანებს. გარდა რუსი მწერლების ნაწარმოებებისა, არქივში დაცულია უცხო-

ელი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანებიც: კერძოდ, კლორთქიფანიძეს უთარგმნია: ბინურ სტოუ, ვიქტორ პიუგო, მორიც ჰარტმანი, ჰაინრიხ ჰაინე, ჯეიმს გრინუდი და სხვა<sup>1</sup>.

პრინციპი აქაც იგივეა – იგი რევოლუციურად განწყობილ მწერლებს ირჩევს და მათ ნაწარმოებებს აცნობს ქართველ მკითხველს.

კლორთქიფანიძე მოწოდებით არ იყო პოეტი და ეს თვითონაც შესანიშნავად იცოდა, მაგრამ რამდენიმე ცდა პოეზიაში მასაც აქვს<sup>2</sup>. გაცილებით წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს მისი მოღვაწეობა პროზაში, არქივში დაცულია მისი მცირე პროზაული ნაწარმოებები – „ბელურა ჩიტი“, „ეშმაკი მელა“, „მსუნაგი დედოფალა“, „წიგნი“<sup>3</sup> და სხვ. რომლებიც მიგვანიშნებენ იმაზე, რომ კირილე უდაოდ შემოქმედებითი ნიჭით იყო დაჯილდოებული.

„სამწუხაროდ, თვით ავტორი სათანადოდ ვერ აფასებდა თავის ამ შესაძლებლობას. იქნებ განსაკუთრებული მომთხონელობის გამო საკუთარი თავის მიმართ, შესაძლებელია, იმიტომაც, რომ სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საქმეების მოგვარება უფრო აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა და საამისოდ დრო აღარ ემეტებოდა: კირილემ ამ თავის ხალას ნიჭს გაქანება არ მისცა მაშინ, როდესაც მას შეუძლო

1 ქიმ 2173/454, 466, 457

2 ქიმ 2173/1166, 454, 478

3 ქიმ 2173/491

დაეტოვებინა ნამდვილი პროზაიკოსის სახელი, დღეს კი მის ამ ნაწარმოებებს არამცთუ ფართო მკითხველი საზოგადოება არ იცნობს, თვით სამეცნიერო ლიტერატურაშიც არაფერია ნათქვამი მათ შესახებ<sup>1</sup>.

კლორთქიფანიდის მცირე ზომის პროზაული ნაწარმოებები დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათისაა და თავისი შინაარსითა თუ ფორმით საბავშვო თხზულებებს წარმოადგენს.

კლორთქიფანიდის პუბლიცისტური და მსოფლმხედველობრივი მასალები ცალკე განყოფილებაში – კლორთქიფანიძე პუბლიცისტი და მოაზროვნე – იქნება წარმოდგენილი. კატალოგის ამ განყოფილებაში გაერთიანდება იმდროინდელ პერიოდულ პრესაში მის მიერ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილები და სტატიები, რომელთა ასლები არქივში ინახება, ასევე რედაქტორებისადმი მიწერილი ის კერძო ბარათები, რომლებიც კირილეს წარმოგვიდგენენ, როგორც პუბლიცისტსა და მოაზროვნეს. ამ მასალების ფონზე თერგდალეული კირილე ღორთქიფანიძე უდავოდ თვალსაჩინო პიროვნებად წარმოიხნდება 60-იანი წლების მოღვაწეთა შორის. მისი აზროვნების საფუძველს წარმოადგენდა სამოციანი წლების რუსეთის რევოლუციონერ მოღვაწეთა იდეოლოგია და მასთან იგი იყენებდა მოწინავე უცხოელი მწერლებისა და მეცნიერების თეორიებსაც. არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ იგი იცნობდა დარვინის, სპენსერის, მალ-

1 ელ. აბრამიშვილი დასახ. ნაშრ. გვ. 12.


თუხის თეორიებს და წარმატებითაც იყენებდა მათ პუბლიცისტურ მოღვაწეობაში.

ლიტერატურულ არქივში დაცული მასალებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიმოწერას, მათგან არა მარტო კლორთქიფანიძის წერილთა ასლებს, არამედ ყველა იმდროინდელი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა თუ მეცნიერის წერილებს, ისინი თემატიკის მიხედვით გადანაწილდება კატალოგის შესაბამის განყოფილებებში. არქივში სულ წერილთა ასორმოცდაათამდე ავტორი დაითვლება, მათ შორისაა ისეთი გამორჩენილი პირები, როგორებიც არიან: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ი. გოგუბაშვილი, დ. ყიფიანი, ი. მუხნარგია, პ. უმიკაშვილი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი და სხვები, რომელთა სახელს საუკუნეთა მანძილზე დავიწყების მტვერი არ დაედება, კირილუ ლორთქიფანიძის სახელი განუყრელადაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ამ გამორჩეულ შვილებთან. ის მუდამ მხარში ედგა მათ და XIX საუკუნის ახალთაობას, ე.წ. „თერგდალეულთა“ შორის თვალსაჩინო ადგილი ეკავა. ასეთი პოპულარობა უპირველესად, პიროვნული თვისებებით უნდა იქნას ახსნილი. არქივში დაცული მასალები მას წარმოაჩენენ არა მარტო დიდ საზოგადო მოღვაწედ, არამედ დიდ ადამიანადაც, რომელსაც გარდა ეროვნულისა და საზოგადოებრივისა სხვა სასიცოცხლო ინტერესები არ გააჩნდა. ათეული წლების მანძილზე კირილუ ფაქიზად ინახავდა თავისი ქვეყნის სახელოვანი მამულიშვილების ნაწარმოებთა

ავტოგრაფებსა და კერძო წერილებს და ამით არა მარტო დაეწეებას გადაარჩინა ქართველი ხალხის სასიქადულო შეილებთან დაკავშირებული მრავალი მნიშვნელოვანი მომენტი XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან, არამედ უნებურად, საკუთარი პიროვნების უკვდავებაც უზრუნველყო. ეს კანონზომიერია, რამეთუ მთელი თავისი სასიცოცხლო ენერგია მან სწორედ იმ მიზნებისა და ინტერესების განხორციელებას შეაღია, რომლის გადაჭრისთვისაც იბრძოდნენ მისი თანამედროვენი.


სარჩევნი

|   |    |
|---|----|
| მათეს სახარების ერთი ფურცლის გამო .....                     | 3  |
| გელათური ხელნაწერები .....                                  | 17 |
| "ქორონიკონი იყო მაშინ სპ" .....                             | 35 |
| "...გარდმოვწერე და შეწამებაჲ დიად მიხარკებია" ..            | 45 |
| მოკლე მახვილგონიერული ამბავნი .....                         | 67 |
| კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურული<br>არქივის კატალოგი ..... | 94 |



მათეის სახარების ფრაგმენტი — X ს. (№21)







Բախման արձանագրության անկողնաքանոն — ՄԼ Ե. (№ 14)







საქართველოს  
 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექციაში — 1053 G (1821)



17 **על** ויש להשיב על מה שכתבתי בזה וזה  
הוא כי כל המעשה הזה הוא  
הוא בעצמו שם המעשה הזה והוא  
הוא שם המעשה הזה והוא שם המעשה הזה  
וזה השם הזה והוא שם המעשה הזה  
וזה השם הזה והוא שם המעשה הזה  
וזה השם הזה והוא שם המעשה הזה

18 **על** ויש להשיב על מה שכתבתי בזה וזה  
הוא כי כל המעשה הזה הוא  
הוא בעצמו שם המעשה הזה והוא  
הוא שם המעשה הזה והוא שם המעשה הזה  
וזה השם הזה והוא שם המעשה הזה  
וזה השם הזה והוא שם המעשה הזה

19 **על** ויש להשיב על מה שכתבתי בזה וזה  
הוא כי כל המעשה הזה הוא  
הוא בעצמו שם המעשה הזה והוא  
הוא שם המעשה הזה והוא שם המעשה הזה  
וזה השם הזה והוא שם המעשה הזה  
וזה השם הזה והוא שם המעשה הזה

20 **על** ויש להשיב על מה שכתבתי בזה וזה  
הוא כי כל המעשה הזה הוא  
הוא בעצמו שם המעשה הזה והוא  
הוא שם המעשה הזה והוא שם המעשה הזה  
וזה השם הזה והוא שם המעשה הזה  
וזה השם הזה והוא שם המעשה הזה

על ויש להשיב על מה שכתבתי בזה וזה

הוא כי כל המעשה הזה הוא  
הוא בעצמו שם המעשה הזה והוא  
הוא שם המעשה הזה והוא שם המעשה הזה  
וזה השם הזה והוא שם המעשה הזה  
וזה השם הזה והוא שם המעשה הזה  
וזה השם הזה והוא שם המעשה הזה


21 **על** ויש להשיב על מה שכתבתי בזה וזה  
הוא כי כל המעשה הזה הוא  
הוא בעצמו שם המעשה הזה והוא  
הוא שם המעשה הזה והוא שם המעשה הזה  
וזה השם הזה והוא שם המעשה הזה  
וזה השם הזה והוא שם המעשה הזה

22 **על** ויש להשיב על מה שכתבתי בזה וזה  
הוא כי כל המעשה הזה הוא  
הוא בעצמו שם המעשה הזה והוא  
הוא שם המעשה הזה והוא שם המעשה הזה  
וזה השם הזה והוא שם המעשה הזה  
וזה השם הזה והוא שם המעשה הזה



ოთხთაე (№76) – გადაწერილია 1060 წელს შავ მთაზე, ანტიოქიაში, კალიპოს მონასტერში. გადამწერი ბასილი თორელყოფილი.





Կրկնակնիքի արձանագրակ (1876)



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ

Գրադարանի արձանագրություն (1876)



მათე მახარებელი — თხოვთვი (№76)



მარკოზ მახარებელი — ოთხთავი (№76)



ლუკა მახარებელი — ოთხთავი (№76)




იოანე მახარებელი და პროფორი — ოთხთავი (№76)



ოპერატორი ლეზა ლეზაძე  
კონტრაქტორი ლიბა შხერბელაშვილი

გადაეცა ნარმოებას 1.03.2008, ხელმოწერილია  
დასაბუქდად 10.04.2008, პირობითი ნაბუქდი თაბახი 8,  
ტირაჟი 300, შეკვეთა №246





დაიბეჭდა ქ. ქუთაისის შპს „სიმლი უნ“-ის სტამბაში  
ქუთაისი, ილია ქაუქავაძის გამზ. 33

1259.429  
3

UNIVERSITY OF TORONTO  
LIBRARY